# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 11 თებერვალი 2000 №24 (1046) | ფასი 50 თეთრი

# როდმანს დაბრუნება სტეფანიამაც ჩაუშხარა



9 თებერვალს კალათბურთს დაუბრუნდა მისი გიჟმაჟი შვილი, მსოფლიოს უკოლორიტულესი მოთამაშე დენის როდმანი. აწ დალასელი როდმანის ხელახალი დებიუტი წარუმატებელი გამოდგა, რაშიც თავისი წილი დაიდო „სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველმა ცენტრმა ვლადიმერ სტეფანიამ. ამ ფოტოზეც ის მომენტია აღბეჭდილი, როცა სტეფანიამ როდმანთან ბრძოლაში იმარჯვა. თუ როგორ წარიმართა ეს მატჩი და როგორ ითამაშა სტეფანიამ, იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი.

## 2 ჩელსი გაოცებულია

ინგლისელთა ცნობით, „დინამო" ალექსიძეში 6 მილიონ გირვანქას ითხოვს

## 4 გახოკიძე არ გაუგდიათ

ქართველი ებრაულ პრესაზე ნაწყენია, ჭორები დამიყარესო

## 7 ნუნიესი და ქილა ერბო

„ბარსელონას" პრეზიდენტი ნუნიესი რონალდინიოში 2,2 მილიონ დოლარს იძლევა. „გრემიო" კი ბრაზილიელში საარაკო და სარეკორდო თანხას — 72,5 მილიონს ითხოვს

## 16 ზეგ დიდი შავთაბრძოლაა: ნიგერია—კამერუნი



გაიხარეს ტიჯანი ბაბანგიდამ, ტარიბო ვესტმა და ნიგერიის ნაკრების დანარჩენმა არწივებმა: გუშინ აფრიკის თასის თანამასპინძლებმა სამხრეთაფრიკელებს ბაბანგიდას ორი უპასუხო ბურთით მოუგეს და კვირას ფინალში გუშინვე ტუნისის მძლეველ კამერუნელებს შეხვდებიან.

# ბოსკამპი: ჩემი ქართველები ჩემთან!

*ერთი ბელგიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში „გენკის" ახალდანიშნულმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელყოფილმა იოჰან ბოსკამპმა განაცხადა, მიხეილ ყაველაშვილს ჩემს გუნდში აუცილებლად მივიწვევო და... ალბათ არამარტო ყაველაშვილს... გუშინ ბოსკამპმა გიორგი ნემსაძის ამბავიც იკითხა. ეს ყველაფერი სატელეფონო საუბრისას გვითხრა ბელგიური „ლიერსის" და საქართველოს ნაკრების მცველმა გელა შეყილაძემ, რომელთან ინტერვიუ*

იხილეთ მეორე გვერდზე



წარსულიდან: ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე და მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი



ბადრი ქათოლაძის ფოტო

გელა შეყილაძე (№4)

*საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ ჩატარებულ 59 მატჩში სულ 105 ფეხბურთელს უთამაშია. მათ შორის 20 შეხვედრაში და მეტჯერ მხოლოდ 14 მოთამაშეს მოურგია უპირველესი გუნდის მაისურა — 6 მცველს, 6 ნახევარმცველსა და 2 თავდამსხმელს. მეთხუთმეტე ადგილზე მყოფ გელა შეყილაძეს ორად ორი თამაში უკლია, ოციანთა ზღვარს რომ გაუტოლდეს. ბელგიური „ლიერსის“ 29 წლის მცველი მეტნილად სტაბილურობით გამოირჩევა და ეროვნული ნაკრების ახალმა თავკაცებმაც მას უყოყმანოდ უხმეს კვიპროსზე გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.*

*იქ ჩატარებულ სამივე შეხვედრაში გელამ ერთი სრული და ორი არასრული მატჩი ითამაშა. შეყილაძის ჩავარდნის პერიოდს ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე. არ ვამბობ, თითქოს მსგავსი არც ყოფილა გელას საკლუბო თუ სანაკრებო კარიერაში, მაგრამ ამაში ლომის წილი ფეხბურთელის ტრავმებმა დაიდეს. ამ მიზეზით შეყილაძემ არაერთხელ იწვნია იძულებითი უქმობის სიმძიმე. ახლა ყველაფერი კარგადაა. შეყილაძეს და მის კლუბსაც უკეთესი დროება უდგათ. გუშინწინ „ლიერსმა“ სახელოვან „ბრიუგეს“ 4:2 მოუგო და ლიდერებს მჭიდროდ მიუახლოვდა. „სარბიელი“ ჩვენებურს შეეხმიანა...*

# ახალი ამბები გელასგან

## იოჰან ბოსკამპი ბელგიაშიც ქართველების გაწვრთნას აპირებს

**— პირველად „ბრიუგესთან“ მატჩზე მინდა გკითხოთ.**

— თავიდან არც ისე კარგად წაგვივიდა თამაში. ეს ამინდმაც განაპირობა. ძალიან წვიმდა. პირველი გოლი სტუმრებმა გაგვიტანეს, თუმცა ჩვენებმა მოახერხეს წონასწორობის აღდგენა და ტაიმი 1:1 დამთავრდა. თამაშიც გათანაბრდა.

**— მწვრთნელმა მაშინ შეგიშვათ მოედანზე, როცა 2:1 იგებდით...**

— ასე იყო. მეორე ნახევარში ჩემს შესვლამდე და მერეც დიდი უპირატესობა გვქონდა. „ბრიუგე“ ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ და შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა.

**— სასტარტო შემადგენლობაში რატომ არ დაგაყენეს?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. ისე, როცა კვიპროსში წავედი, მწვრთნელმა მთხოვა, დროულად ჩამოვსულიყავი. ბელგიაში, ორშაბათს საღამოს დავბრუნდი და „ბრიუგესთან“ მატჩის წინა დღეს, სამშაბათს, გუნდთან ერთად ვივარჯიშე. ეტყობა, ეს საკმარისად არ ჩათვალა და გადაწყვიტა, სათადარიგოთა სკამზე დავესვი. როცა საჭიროდ მიიჩნია, მოედანზე შემიშვა...

**— „ლიერსი“ საპრიზო სამეულს უმიზნებს?**

— ვნახოთ, სურვილი კი გვაქვს, მაგრამ უფრო თასის გათამაშებაზე ვაკეთებთ აქცენტს. ნახევარფინალში გასვლა თითქმის განაღდებული გვაქვს. ვეცდებით, შარშანდელი მიღწევა გავიმეოროთ და თასი შევინარჩუნოთ. ეს უფრო რეალურად გვესახება.

**— ახლა ნაკრებზე მინდა გკითხოთ. ერთდროულად ორი მთავარი მწვრთნელის დანიშვნის ფაქტი როგორ აღიქვით?**

— რაც ჩემი თვალით ვნახე, იქიდან გამომდინარე ყველაფერი ნორმალურადაა. ყიფიანი და ძოძუაშვილი შეხმატკბილებულად მოქმედებენ. საქმისადმი პროფესიული მიდგომა აშკარაა. პასუხისმგებლობის გრძნობაც მაღალ დონეზეა, როგორც მწვრთნელთა, ასევე ფეხბურთელებს შორის. ერთი სიტყვით, ნაკრებში ნორმალური ვითარებაა.

**— პირველ მატჩში სლოვაკებთან ადრიანად გამოგცვალეს. რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, წნევა აწუხებდაო.**

— კვიპროსში ყოფნის პირველ დღეებში მართლაც დაბალი წნევა მქონდა. რა დამემართა, თავადაც არ ვიცი. ეტყობა, აკლიმატიზაცია გამიჭირდა. მერე ყველაფერი დალაგდა.

საერთოდ ეს ტურნირი ფეხბურთელების გასასინჯად იყო ხელსაყრელი. მწვრთნელებს უნდა ენახათ, ვინ რისი მაქნისია. ყველას აძლევდნენ თავის გამოჩენის საშუალებას. თავის მხრივ მოთამაშეებიც ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ მზად იყვნენ ნაკრებში სათამაშოდ. და ეს მარტო ახალგაზრდებზე არ ითქმის. ისე, ჩემი ასაკის ფეხბურთელს აქამდე ბევრი რამ უკვე დამტკიცებული უნდა ჰქონდეს, თუმცა ფეხბურთში მარტო წლებითა და გამოცდილებით ფონს ვერასდროს გახვალ.

**— როგორ ფიქრობთ, შეგეძლოთ რუმინელებთან პენალტების სერიამდე არ მიგეყვანათ საქმე?**

— რა თქმა უნდა. ბოლო ცხრა წუთში ვერ შევძელით ანგარიშის შენარჩუნება. თუმცა ნაღდად ვერ ვიტყვი, რომ ასპროცენტიანი მოსაგები გვქონდა. ფრე მაინც ლოგიკური შედეგი იყო. აი, პენალტების სერიაში კი გამარჯვების შანსი ჩვენც და რუმინელებსაც თანაბარი გვქონდა. საქმეში იღბალიც ჩაერია და დავმარცხდით...

**— ნაკრების თამაშს როგორ შეაფასებდით, რა განსხვავება დაინახეთ ბოსკამპის გუნდთან შედარებით?**

— კონკრეტული დასკვნების გაკეთება ჯერ ძნელია. ბოსკამპის მწვრთნელობისგან განსხვავებით, ერთი რამ თვალში საცემია — დაცვას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. ძოძუაშვილი უკანახაზელებთან ბევრს მუშაობდა. კარგადაა გარკვეული ამ საკითხში, ყველა ნიუანსი იცის. ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებზე კი ძირითადად ყიფიანი იყო მიმაგრებული.

**— რახან ბოსკამპი ვახსენეთ, მისი „გენკის“ თავკაცად დანიშვნის თაობაზეც გვითხარით. როგორი გამოხმაურება ჰქონდა ამას ბელგიაში?**

— როგორც კი ჩავედი, თანაგუნდელებმა მამცნეს ეს ამბავი და გაზეთიც მაჩვენეს, რომელშიც ბოსკამპის ინტერვიუ იყო დაბეჭდილი. გაზეთებმა საკმაოდ წერეს ამის თაობაზე. ბოსკამპს დიდ პატივს სცემენ აქაც და ჰოლანდიაშიც. „გენკი“ შარშანდელი ჩემპიონია და როცა ასეთ კლუბში მიგიწვევენ, დიდი ნდობის გამოცხადებაა.

**— ქართველებზე ხომ არაფერი უთქვამს ინტერვიუში?**

— მიხეილ ყაველაშვილს აუცილებლად მოვიწვევო, განაცხადა და მის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს. ზედმიწევნით ზუსტად აღწერა მიშას საფეხბურთო კარიერა, სად თამაშობს და ასე შემდეგ.

**— თქვენ არ შეგეხმიანათ?**

— ჯერჯერობით არა. რა ვიცი, გუნდში 30 კაცი ჰყავს და...

**— სხვა ჩვენებურებზე არ დასცდენია სიტყვა?**

— არა, მაგრამ... მაინც გაგიმხელთ ერთ დღევანდელ ამბავს — ბოსკამპის მეგობარს ვესაუბრე დილით, მენეჯერია. ასე მითხრა, ნემსაძითაა დაინტერესებული და დამავალა, მის შესახებ ყველაფერი გამიგეო. მეც ყველაფერი ვუამბე გიორგიზე. რა და როგორ იქნება, დრო გვიჩვენებს.

**ხვიჩა სანიძიძე**

# ჩელსი გაოცებულია

## დინამო ალექსიძეში ექვს მილიონ გირვანქას ითხოვს



ბადრი ქათოლაძის ფოტო

რატი ალექსიძეს ბათუმელი ტუღუმი ფეხებში ჩაუხტა

საქართველოს ეროვნული ნაკრების 21 წლის ფორვარდის, რატი ალექსიძის გარშემო ქართულ-ინგლისური ვნებები გრძელდება. შეგახსენებთ, რომ ალექსიძით დაინტერესება ლონდონის არისტოკრატულმა კლუბმა გასული წლის მიწურულს გამოთქვა, როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს ვლადიკავკაზის „ალანია“ და მოსკოვის „სპარტაკი“ ეპატიჟებოდნენ.

ახალი წლის შემდეგ „ჩელსი“ კიდევ უფრო გააქტიურდა და ალექსიძისთვის სამჯერ აახლა დელეგაცია დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტს. ალექსიძეს ეროვნულ ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი არ უგროვდებოდა და „ჩელსიმაც“ თავი გადადო, რათა ქართველთათვის პრემიერლიგაში მუშაობის უფლება მიეცათ.

ლონდონურმა კლუბმა 2, 6 და 21 იანვარს შეუტია დეპარტამენტს და 27 იანვარს გამარჯვებულიც გამოვიდა. დეპარტამენტმა ალექსიძეს ინგლისში მუშაობის ნება დართო. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მარგარეტ ჰოჯმა ყურად იღო „ჩელსის“ თხოვნა, რატი ალექსიძის ასაკიდან გამომდინარე, მისი საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში ჩატარებული მატჩები ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევად ჩაეთვალათ.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, ალექსიძეც 3 თებერვალს „ჩელსისთან“ კონტრაქტზე ხელმოსაწერად უნდა გაფრენილიყო, რომ სირთულემ იქ იჩინა თავი, სადაც, წესით, ყველაზე ნაკლებ იყო მასალოდნელი.

შეგახსენებთ, რომ რატი „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილია, საიდანაც ალექსიძე ჯერ თბილისის „მრეტებში“ მივიდა, შემდეგ კი „დინამო 2“-ში გადავიდა. 1997 წლის დასაწყისში კი რატი არჩილ საზვაძესთან ერთად 6-თვიან სტაჟირებაზე აღმოჩნდა „ჩელსის“ ახალგაზრდულ გუნდში.

ალექსიძე 1997 წელსვე დაბრუნდა თბილისში და „დინამოში“ 5 შეხვედრაც გამართა. იგი კვლავ აპირებდა „ჩელსის“ ახალგაზრდულ გუნდში დაბრუნებას, როცა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე მეოცნებე „დინამოს“ დაიყაბულა თხოვნაზე, გუნდში დარჩენილიყო.

გართულება დღეს სწორედ ამ თხოვნას თუ კონტრაქტს მოჰყვა. 9 თებერვალს „ჩელსის“ წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენამდე მოვიდა ჭორები, რომ თბილისის „დინამომ“ ალექსიძესთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. დღეს თბილისელები ალექსიძეში, რომელიც წესით, როგორც თავისუფალი აგენტი, ისე უნდა გადმოსულიყო ჩვენთან, არც მეტი, არც ნაკლები 6 000 000 გირვანქას ითხოვენ. ტრანსფერი, ალბათ, ჩაიშლება. ანუ ლონდონელებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ალექსიძეს „დინამოსთან“ კონტრაქტი არ აკავშირებდა ან უსრულდებოდა. ინგლისში გადასვლის შესახებ საუბრის დაწყების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ კონტრაქტიც არსებობს და „დინამოს“ სურვილიც — აღნიშნული ტრანსფერი კლუბისთვის რაც შეიძლება, სარფიანი იყოს.

მანამდე ალექსიძის ტრანსფერის ფასის შესახებ სხვადასხვა ცნობები გავრცელდა. 18 იანვრის „მირორი“ იუწყებოდა, რომ „დინამო“ 4 000 000 გირვანქას ითხოვდა, 2 თებერვალს კი „ჩელსის“ წარმომადგენელმა განაცხადა, კლუბი ალექსიძეს აღარ ყიდულობს და 400 000 გირვანქად ერთწლიანი იჯარით წაიყვანსო. თავად რატიმ ორივე ცნობა კატეგორიულად უარყო.

გუშინ კი „ჩელსის“ წარმომადგენელმა ჩვენთვის სასიამოვნო ამბავი გაავრცელა. „ჩელსი“ და „დინამო“ კომპრომისზე მიდიან. კონტრაქტი ალექსიძესა და „ჩელსის“ შორის ალბათ მალე გაფორმდება. თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ალექსიძის კონტრაქტი „დინამოსთან“ და ჭორები 6 მილიონი გირვანქის შესახებ.“

კომპრომისი ალბათ შემდეგს ნიშნავს — „ჩელსი“ ნათლად დაანახვებს „დინამოს“, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ არის და გაჭირვებულებს უპროცენტო გრანტებით არ ეხმარება. აქედან გამომდინარე, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ალექსიძე ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი გახდეს. შეგახსენებთ, დღემდე ეს „წოდება“ გიორგი ქინქლაძეს აქვს, რომელიც „აიაქსმა“ „მანჩესტერ სიტისგან“ 5,5 მილიონ გირვანქად გამოისყიდა.

**სიმონ მენაბდე**

# ოლიმპიკი: ჩვენ გავიზრდებით!

დიდი დრო არ გასულა მას მერე, რაც „სარბიელმა“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლების წარდგენა დაიწყო. მას შემდეგ ფიქრი არ მასვენებს, ბევრი ბავშვი აგორებს ჩვენში ბურთს. არჩევანიც დიდი აქვთ. „ნორჩი დინამოელი“ თუ, „ავაზა“, „ოცდამეერთე საუკუნე“, „ირაო“, 35-ე საფეხბურთო სკოლა, აგერ ახლახან სკოლებს თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო აკადემიამაც დაუმშვენა გვერდი, სათვალავშია ჩასაგდები ისიც, რომ მარტო თბილისში ათეულობით პატარ-პატარა საფეხბურთო სექციებია. სხვა ქალაქებშიც და რეგიონებშიც წარმატებულად მიდის ამ მხრივ საქმე. ერთი შეხედვით თავის გამოჩენის საშუალებაც აქვთ ნორჩებს, იმართება სხვადასხვა ტურნირები, შექმნილია ბავშვთა ლიგა და მაინც პრობლემა პრობლემად რჩება. ეს რომ ასეა, ამას წინათ თბილისში ჩატარებულმა 16 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმა ეტაპმაც ცხადყო. ჩვენს ყმაწვილებს რაღაც აკლიათ, ის რაღაც პატარა სულაც არ გახლავთდა წვრილ-წვრილი შეცდომების შედეგია, რომელთა თავმოყრამაც ღირსეული ცვლის საკითხი საჭოჭმანოდ დაუყენა ქართულ ფეხბურთს.

მსგავსი წერილების მიზანი კი ერთია — ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ცხოვრების გაცნობა და მკითხველისთვის იმ მოსაზრებების გაზიარება, რამაც შესაძლოა ჩიხიდან გამოიყვანოს ეროვნული ფეხბურთი.

დღეს თბილისის საფეხბურთო სკოლას — „ოლიმპიკს“ წარმოგიდგენთ. ეს სკოლა კერძო დაქვემდებარებაშია, მისი დამაარსებელი თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე კარლო მჭედლიძე გახლავთ. „ოლიმპიკი“ თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო აკადემიის მეზობლად მდებარეობს დიღმის ხეივანში, ოღონდ ეგ არის, მან აკადემიელებზე ორი წლით ადრე იზეიმა ახალმოსახლეობა. პირველმა აღსაზრდელებმა 1998 წლის დასაწყისში შეაღეს „ოლიმპიკის“ კარები და საქმეც დაიწყო. გასული ორი წლის განმავლობაში სკოლამ კარგი სახელი დაიგდო. ნორჩი ოლიმპიკელები ენერგიულად ჩაებნენ ბავშვთა ფეხბურთის ფერხულში და შედეგმაც არ დააყოვნა. კარლო მჭედლიძის კაბინეტს დღეს მიხეილ მესხის სახელობის და „კოკა-კოლას“ თასები ამშვენებს. ეს ჯილდოები 1983 წელს დაბადებულმა ყმაწვილებმა მოიპოვეს გასულ წელს. ბავშვთა ფეხბურთში კი ეს საქართველოს ჩემპიონობის და თასის მფლობელობის ტოლფასია.



კარლო მჭედლიძე



ნორჩი ოლიმპიკელები ბურთის კენწლას სწავლობენ

გურამ ცქვიტიშვილის ფოტოები

დიღმის ხეივნის №10-ში დღეს სამი სტანდარტული და ერთი მცირე ზომის მოედანია გაშენებული. ორასი მეტრის დაყოლებაზე, ამაყად აშოლტილი ნაძვების ქვეშ, სარბენი ბილიკებია გაკვალული. საწვრთნელი ციკლის პროცესში ამ ნაძვებს მართლაც დიდი მისია აკისრია. *კარლო მჭედლიძე:* „აქ ყველაფერი ჩვენ გავაშენეთ. გვაქვს გასახდელები, საშხაპე, სულ მალე მოსაზღვრე ტერიტორიასაც შევიმატებთ და იქ ხუთ მცირე ზომის მოედანს გავაშენებთ უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის. გადაწყვეტილი გვაქვს, ერთსართულიან ადმინისტრაციულ შენობას დამატებითი სართულები დავაშენოთ, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ 42-ადგილიანი ბაზა გავაკეთოთ თავისი სასადილოთი. მოედნებზე კი ბალახს შემოვიტანთ, რათა სრულყოფილი სათამაშო მინდორი გვქონდეს“. ვერაფრით შევძელით იმის დადგენა, რამდენი ბავშვი ვარჯიშობს „ოლიმპიკში“. კარლო მჭედლიძის თქმით, ოლიმპიკელები არაფრით დაუშვებენ იმ ფაქტს, რომ სკოლა გამაჯანსაღებელ ცენტრად იქცეს. ჩვენთვის რაოდენობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი მიზანია, პროფესიონალები დავზარდოთო — გვითხრეს. ამიტომაც „ოლიმპიკში“ რეგულარულად მიდის შერჩევის პროცესი. ბევრნი მოდიან, მაგრამ ერთეულები რჩებიან.

„ოლიმპიკში“ ჩვენი სტუმრობისას ორი ჯგუფი ვარჯიშობდა. 30-35 ყმაწვილები გელა გომელაურს (ერთ-ერთ მწვრთნელს) თვალებში შესციცინებდნენ. უხმოდ, საოცარი წესრიგით ასრულებდნენ 83-იანები მასწავლებლის მითითებებს, მოედნის სიახლოვეს კი უმცროსი ასაკის ფეხბურთელები მოკალათებულიყვნენ (მათი ვარჯიში 30 წუთის შემდეგ იწყებოდა) და სულგანაბულნი შესცქეროდნენ უფროსების ვარჯიშს. ამის დანახვაზე კარლო მჭედლიძემ კმაყოფილი სახეით გვითხრა: ჩვენთან ასეთი წესია. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პირველ რიგში მოზარდს დისციპლინას ვთხოვთ. წვრთნის პერიოდში მოვარჯიშეთა გარდა ერთ ბავშვსაც ვერ ნახავთ სპორტულ სამოსში ან უსაქმოდ მყოფს. ჩვენი მოთხოვნით, უმცროსები ადრე მოდიან, უფროსების გარჯას თვალყურს ადევნებენ, რადგან უნდა იცოდნენ, სამომავლოდ როგორ მოიქცნენ. ისინიც გაიზრდებიან და ამთავითვე უნდა გაერკვნენ ბევრ რამეში. მათ კარგი მაგალითი უნდა აიღონ. სამომავლოდ ეს აუცილებლად დაეხმარება ნორჩებს“.

ოლიმპიკელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საზღვარგარეთულ ტურნირებს. ამ მხრივ მოწესრიგებულ მასპინძლებს გარკვეული გრაფიკიც აქვთ შემუშავებული: 1983 წელში დაბადებულებს (ასეთი ორი ჯგუფია), მალე გერმანიაში მოუწევთ გამგზავრება, ორი წლით უმცროსებს კი ტრაბზონის საერთაშორისო ტურნირი ელით. ამ მხრივ უმცროსი ასაკის ჯგუფები დაჩაგრულნი არიან, მაგრამ ამაზე კარლო მჭედლიძეს თავისი მოსაზრება აქვს: „პატარებისთვის გარკვეული პროგრამა გვაქვს შემუშავებული, რაც ადგილზე მომზადებას ითვალისწინებს. ნორჩებს ჯერ მოლონიერება, ერთგვარი ჩამოყალიბება სჭირდებათ, მერე კი...“

კარლო მჭედლიძის თქმით, სკოლა კვალიფიცირებული მწვრთნელების პრობლემას არ უჩივის. „ოლიმპიკში“ ნორჩებთან მუშაობენ გია იმნაძე, თემურ ებანოიძე, გელა გომელაური, დავით მუჯირი, ზურაბ ნემსაძე, გოგი ციკოლია. აქვეა ექიმი თენგიზ დუშელიც, რომელიც კოორდინაციას უწევს მოზარდთა საერთო ფიზიკურ მდგომარეობას.

*კარლო მჭედლიძე:* „დიდი მადლობა მინდა მოვუხადო მეცნიერებათა აკადემიას ამ ტერიტორიის გადმოცემისთვის. გაგიკვირდებათ, მაგრამ აქაურებს არ ეგონათ, თუ საფეხბურთო სკოლას ვაშენებდით. ზოგს ქარხანა ეგონა, ზოგს — რესტორანი, მერე ირწმუნეს, როცა საფეხბურთო კარებები დავდგით. დიდი შრომა ჩავდეთ და არც ვნანობთ. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ზარალში ვართ. შეგუებული ვარ ასეთ მდგომარეობას, რადგან ვიცი, რომ ხვალ-ზეგ ყველაფერი კარგად იქნება. არავის არაფერს არ ვთხოვთ, მხოლოდ კრედიტის აღება გვინდა სახელმწიფოსგან, რადგან წინ ბევრი საქმე გველის... პრობლემებს რა დაგვილევს, მამლუქებად მიდიან ჩვენი ბავშვები უცხოეთში, არანორმალური, გაუმართლებელი საქციელია ეს. სასტიკი წინააღმდეგი ვარ ბავშვის საზღვარგარეთულ სკოლაში გაზრდის. სტაჟირება სხვა საქმეა, 20-დღიანი, ერთთვიანი სტაჟირებები სასიკეთოდაც გადგება, მიზნად ის უნდა დავისახოთ, რომ აქ, ადგილზე შევძლოთ ბავშვის მომზადება. გეთანხმებით, რომ ბევრი ნიჭიერი ბავშვი იკარგება. ეს პრობლემა ჩვენს დროსაც იყო. „პრიმასტერობის“ ხანაგავლილ ახალგაზრდას არჩევანი არ ჰქონდა, ან „დინამო“ ან არაფერი. დღეს თითქოს ყველაფერი რიგზეა. „დინამოცაა“, „ტორპედოც“, „ბათუმი“, „კოლხეთი“, მაგრამ პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. ეს კი, ჩემი აზრით, იმის ბრალია, რომ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თვითონ ლუპავს თავის თავს. დღეს ბევრი [illegible] რგება ფეხბურთისთვის, რომ მებრძოლი ბუნების არ არის. სწორედ ეს უნდა შევმატოთ მოზარდს. ეს თუ შევძელით, გარწმუნებთ, გაცილებით გამოსწორდება სიტუაცია“.

„ოლიმპიკს“ სატრანსფერო სისტემა გაცილებით სოლიდურად აქვს მოგვარებული სხვა სკოლებთან შედარებით. სკოლა ფიფას კანონებით ხელმძღვანელობს. თოთხმეტწლამდე ბავშვთან დებენ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების გაფორმებაში მონაწილეობას, ბუნებრივია, ბავშვის მშობელიც ღებულობს. შემდეგ კი, როცა მოზარდი 16 წლის გახდება და პირადობის მოწმობას აიღებს, მასთან უკვე ახალი ორმხრივი ხელშეკრულება ფორმდება და ფეხბურთელიც სკოლის საკუთრებაში გადადის. ამ წესში უჩვეულო არაფერია, ჩვენში თითქმის ყველა საფეხბურთო სკოლა ასე იქცევა, მაგრამ შემდეგ ფეხბურთელს თვალი გაქცევისკენ უჭირავს, რადგან მაღალ დონეზე (ამ შემთხვევაში ეროვნული პირველობა) უნდა თამაში და, ბუნებრივია, მიდის კიდეც. ოლიმპიკის ხელმძღვანელობა კი ამ უსიამოვნო პროცესის შეჩერებას სულ მარტივი გზით აპირებს.

*კარლო მჭედლიძე:* „რანაირი ხელშეკრულებაც არ უნდა გქონდეს ფეხბურთელთან, ბოლოს და ბოლოს მოვა ის დრო, როცა იგი თავის გზას აირჩევს და მაშინ მორალური უფლება არ გაქვს, იგი შეაჩერო, რადგან ფეხბურთელი ზრდას ველარ განაგრძობს და ფაქტობრივად იკარგება, უამრავი ასეთი შემთხვევის გახსენება შემიძლია, ან ბავშვი თავს ანებებს ფეხბურთს, ანაც მის მსურველ კლუბსა და სკოლას შორის გაუთავებელი პრობლემები იქმნება. შეიძლება, ითქვას, მსგავსი რამ არ გვემუქრება, რადგან ამ პრობლემის გადაჭრას ელემენტარული გზით ვცდილობთ. გადაწყვეტილი გვაქვს, ჩვენი სკოლა საქართველოს ჩემპიონატში ჩაებას და ეროვნული პირველობის რეგიონალურ ლიგაში გამოვიდეს. ამას წლეულსვე შევძლებთ. როგორც გითხარით, ბაზას გავამზადებთ. ბალახიანი საფარის გაწყობას მოესწრება. სულ მალე ტრიბუნებსაც ავაშენებთ და პროგრამა-მინიმუმი, შესრულებული იქნება. გვექნება სტადიონი, სადაც მაღალ დონეზე ვუმასპინძლებთ გუნდებს. რეგიონალურ ლიგაში თამაშის პერსპექტივა კი ახალგაზრდებს დამატებით სტიმულს მისცემს, რაც მთავარია, მათი საფეხბურთო ზრდა გაგრძელდება შემდეგ კი პირველ ლიგაში თამაშზეც განვაცხადებთ პრეტენზიას. ასე ეტაპობრივად გავიზრდებით და დავიხვეწებით“.

ვფიქრობ, კარლო მჭედლიძის მოსაზრება არ უნდა იყოს ურიგო, მაგრამ ისიც სათქმელია, ამ მიზნის შესრულებას რამდენი შრომა და ფული სჭირდება. შრომა რომ არ ეზარებათ ოლიმპიკელებს, ცხადია. მაგრამ ფული... ფულიც იქნება. მალე საგადასახადო სისტემას დვხვეწთ, მოსწავლეთა 30-მა პროცენტმაც რომ სრულად გადაიხადოს თანხა, ყველაფერი რიგზე იქნება, ასეც რომ არ იყოს, უკან დახევა არ გვჩვევია და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ — დაგვამშვიდა გამომშვიდობებისას მასპინძელმა.

**ბაატა ქვანტალიანი**



„ოლიმპიკის“ მწვრთნელი გელა გომელაური ვარჯიშისას



მიხეილ მესხის სახელობის შარშანდელი გათამაშების გამარჯვებული „ოლიმპიკი 83“

გურამ ცქვიტიშვილის ფოტოები

# გახოკიძე არ გაუგდიათ



გიორგი გახოკიძე

გოგა გახოკიძე ჰაიფას „მაკაბიდან“ გააგდეს და შესაძლოა, საქმე იქამდეც მივიდეს, რომ მას საერთოდ აუკრძალონ ფეხბურთის თამაში. ამ დღეებში „მაკაბი“ უეფას მიმართავს ქართველი ნახევარმცველის არაპროფესიული საქციელის გამო. ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „აშდოდთან“ გახოკიძე მწვრთნელმა შეცვალა. გასახდელში შესულმა ქართველმა ჩანთას ხელი დაავლო, არავისთვის არაფერი დაუბარებია და მწვრთნელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ სტადიონი დატოვა, სადღაც გაუჩინარდა. გუნდის ბაზაზე ის არც მეორე დღეს მისულა...

აი, დაახლოებით ასეთი რამ ეწერა ერთ-ერთ ებრაულ გაზეთში. თურმე ყველაფერი ტყუილი ყოფილა. გუშინ გოგა გახოკიძემ თავად გვითხრა: — რამდენიმე წუთის წინ დავამთავრე ვარჯიში, თელ ავივის „მაკაბისთან“ მეტად პრინციპული მატჩისთვის ვემზადებით. ჩემი გუნდიდან გაგდება კი ჭორია, აქაური ჟურნალისტის მოგონილია. გუშინ ჩვენი მწვრთნელი ელაპარაკა იმ მატყუარას და გაზეთშივე ბოდიში მოახდევინა. რაში დასჭირდა ამის დაწერა, ვერ გამიგია. „აშდოდთან“ მატჩისას მართლაც შემცვალეს, მსაჯმა ყვითელი ამოიღო და მწვრთნელს შეეშინდა, წითელი ბარათიც არ მოეცათ. ხომ გითხარით, თელ ავივის „მაკაბისთან“ თამაში გველის, შეცვლის შემდეგ კი გასახდელში შხაპი მივიღე და მატჩს ტრიბუნებიდან ვუყურე. მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს... რაც შეეხება ჩემს პსვ-ში დაბრუნებას, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, სეზონს ისრაელში ჩავამთავრებ, დანარჩენი მერე ვნახოთ.

**ქოგა ინასარიძე**

# გორდას მოლოდინი

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები საშუასეზონო მზადებას განაგრძობენ. მოსამზადებელი ციკლი უკვე დასკვნით ეტაპს უახლოვდება, საკონტროლო მატჩების გამართვის ხანას. გუშინ რუსთავში ქვემოქართლური ამხანაგური დერბი გაიმართა. „გორდამ“ „სიონს“ უმასპინძლა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. „სიონის“ შესახებ „სარბიელი“ რეგულარულად გაწვდიდათ ინფორმაციებს, „გორდა“ კი ამ მხრივ დაჩაგრული იყო, რადგან რუსთაულ გუნდში თითქმის არაფერი ხდებოდა და სრული გაურკვევლობა სუფევდა. ამგვარი სიტუაცია კი ჩვენს გუნდებში, მოგეხსენებათ, უფულობას მოაქვს. რუსთაველებს ვერც ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმულმა ჰუმანურმა ნაბიჯმა უშველა — ქალაქის ბაზრიდან გალებული მოგების ორმოცი პროცენტი ვერაფრით გასწვდა მშიერ „გორდას“ და გუნდიც სამეორეეტაპოდ პირველი ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე დადგა, რადგან გასარკვევი დღესაც ბევრი რამ რჩება. უპირველეს ყოვლისა ის, თუ რა შემადგენლობით გამოვა გუნდი მეორე ეტაპზე. ამას წინათ ითქვა, რომ ვარლამ კილასონიას — გუნდის უდავო ლიდერის გადაბირებას „სამგურალი“ აპირებდა. წყალტუბოელებსვე სურდათ უმცროსი კილასონიას დამატებაც. დღეს კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იქნებ სამეორეეტაპოდ ორივე ძმამ გუნდის ძირითად ბირთვთან ერთად მშობლიურ ქალაქში გააგრძელოს თამაში. საქმე ისაა, რომ გუშინდელი საკონტროლო მატჩის დროს („გორდას“ ძირითად შემადგენლობაში გია კილასონიამაც ითამაშა) „ფოლადის“ სტადიონს ორი სოლიდური პიროვნება სწვევია... „გორდას“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა სატელეფონო საუბრისას გვითხრა: „შესაძლოა, გუნდს ახალი პრეზიდენტი ჰყავდეს. თამაშის დროს თბილისიდან სტუმრები იყვნენ ჩამოსული. ბევრი ილაპარაკეს კლუბის ხელმძღვანელებთან. ალბათ ყველაფერი ორშაბათისთვის გაირკვევა...“

ბუნებრივია, „გორდას“ მთავარ მწვრთნელთან იასონ ალადაშვილთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ ბატონი იასონი ვერ მოვიხელთეთ... ორშაბათამდე კი ბევრიც არ დარჩა.

**პაატა ქვანტალიანი**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი) | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჯანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე, დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) ?:? |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეფალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფვენდიქსფორი (თურქეთი) 3:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1 |
| **დილა** *მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოლაშვილი, შატაკიშვილი (ლადა ტოლიატი ვაზ, რუსეთი) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (დნეპრი, უკრაინა), დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), თ. დოლიძე, მოსულიშვილი, ხორხელი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა) | |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი 8:0 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# გერმანია

XIX ტური

**ლაუტერნი 2:2 ჰანზა**

0:1 არვიდსონი (11), 0:2 აგალი (73), 1:2 პეტერსონი (85), 2:2 კომლიენოვიჩი (86)
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, კომლიენოვიჩი, კოხი, შიონბერგი, ჯორკაეფი (რაიხი 46), რატინიო, ხრისტოვი (ბუკი 46), შტრასერი (ტარე 78), ვაგნერი, პეტერსონი, მარშალი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი (ვაილანდტი 58), ჰოლეჩეკი, შნაიდერი (ელერსი 46), ლანგე, ვიბრანი, ლანცი, მაიაკი, ბრანდი, აგალი, არვიდსონი
გაფრთხილება: ჰოლეჩეკი, ბენკენი, ბრანდი, ლანგე
მსაჯი: მაიერი

**ულმი 3:0 მიუნხენი**

1:0 ოტო (4), 2:0 ვან დერ ჰაარი (15), 3:0 შარინგერი (72)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, გრაუერი, რადოკი, მაიერი, ოტო, გორა, შარინგერი (ტრკულია 88), ლეანდრო (პლოილერი 88), ვან დერ ჰაარი (როსლერი 75)
მიუნხენი: ჰოფმანი, ვოტავა (შტრანცლი 52), კურცი, პასლაკი, ჩერნი, რიდლი, ჰესლერი, ზელიჩი, ბორიმიროვი (შროტი 57), ვინკლერი, მაქსი
გაფრთხილება: ბოდოგი, ოტო, ზელიჩი, კურცი, ვინკლერი, ჰესლერი
მსაჯი: იანსენი

**შალკე 3:1 ვერდერი**

1:0 სანდი (6), 1:1 აილტონი (33), 2:1 მპენზა (46), 3:1 სანდი (83)
შალკე: რეკი, ვალდოხი, ჰაპე, მიულერი, ლატალი, კმეჩი, ნემეცი, ალპუგანი (ჰელდი 81), ვილმოტსი, სანდი (კამპუისი 90), მპენზა (ასამოა 84)
ვერდერი: როსტი, ტიკუზუ (ბოგდანოვიჩი 77), ბაუმანი, ცეზარი (დაბროვსკი 46), ვიდნერი, ფრინგსი, ტრარესი, აილტსი (მაქსიმოვი 54), ჰერცოგი, პიზარო, აილტონი
გაფრთხილება: ლატალი, ნემეცი, ტიკუზუ
მსაჯი: კოოპი

**ჰერტა 2:0 არმინია**

1:0, 2:0 პრეეცი (51, 75)
ჰერტა: ფიდლერი, ვან ბურიკი (ჰერცოგი 12), რემერი, სვერისონი, როი, შმიდტი, ვოში, მიხალკე (ვაიტი 55), ჰარტმანი, პრეეცი, ალვეში (დაისლერი 74)
არმინია: მილეტიჩი, პეეტერსი, შტრატოსი, კლიცპერა, განსაუგე, ბოდე (რიდლევიჩი 76), მაისნერი, ბიომე, მაული, ლაბადია, ვაისენბერგერი
გაფრთხილება: როი
მსაჯი: ალბრეხტი

**აინტრახტი 2:0 ფრაიბურგი**

1:0 სობოჩიკი (32), 2:0 მუტცელი (80)
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, კუჩერა, კრახტი, რასიევსკი, შური (გუიემიენი 86), ჰელდტი, გებჰარდტი (მუტცელი 76), სობოჩიკი, რაიხენბერგერი (ჩენ იანგი 62), სალუ
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ჰერმელი, დიარა, ვილი (მიულერი 43), ცაიერი, **კობიაშვილი**, რამდანე, ვაისჰაუპტი (კოლი 74), **იაშვილი** (ბრუნსი 46), ბენ სლიმანი
გაფრთხილება: სობოჩიკი, ჰელდტი
გაძევება: კონდე (43)
მსაჯი: ვაკი

**ბაიერნი 4:1 ლევერკუზენი**

1:0 ჰოფმანი (2ს.კ.), 2:0 ეფენბერგი (45), 3:0 შოლი (56), 3:1 ბალაკი (65), 4:1 ციკლერი (90)
ბაიერნი: კანი, მათეუსი (ფინკი 73), ბაბელი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ეფენბერგი, ტარნატი, შოლი (ანდერსონი 80), ელბერი (ციკლერი 87), პაულო სერჟიო
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჰოფმანი (რეები 57), ნოვოტნი, კოვაჩი, შნაიდერი, ბალაკი, ემერსონი, ბაინლიხი, ზე რობერტო (რინკი 75), პონტე (ბრდარიჩი 58), ნოივილი
გაფრთხილება: იერემისი, მათეუსი, სალიჰამიჯიჩი, პონტე, ბაინლიხი, ბალაკი
მსაჯი: მერკი

**შტუტგარტი 1:3 ჰამბურგი**

0:1, 0:2 იებოა (60, 66), 1:2 ენდრესი (68), 1:3 მაჰდავიკია (90)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, კელერი, ბორდონი (ენდრესი 37), კარნელი, შნაიდერი (ბალაკოვი 69), სოლდო, ლისტეში, გერბერი, დანდი, განეა (კუკა 62)
ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, ფიშერი, გრავესენი, კარდოზო (დემბინსკი 67), კოვაჩი (ჰოლერბახი 29), მაჰდავიკია, იებოა, პრეგერი
გაფრთხილება: ტიამი, განეა, სოლდო
მსაჯი: კრუგი

**ვოლფსბურგი 1:0 დორტმუნდი**

1:0 რიშე (44)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ჰენგენი, ტომსენი, გრაინერი (სებესკენი 63), ნოვაკი, კრიგერი, მუნტეანუ (დამაიერი 81), ვაისერი, რიშე (ბალვანცი 89), იუსკოვიაკი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი (ბარბარესი 70), ბაუმანი, რიკენი, ნერლინგერი (ტანკო 83), დედე (რეინა 60), ბობიჩი, ჰერლიხი
გაფრთხილება: გრაინერი, მუნტეანუ, როიტერი, ვიორნსი, ჰერლიხი
მსაჯი: კესლერი

**დუისბურგი 2:0 უნტერჰახინგი**

1:0 ჰაიტო (13), 2:0 რაისი (19)
დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, ემერლინგი, ვოლერტი, ვოლტერსი (ჰოერსენი 68), ტიოფტინგი, ჰირში, ცაიერი (ვედაუ 81), ბიუსკენსი, ბაიერლე (შპისი 89), რაისი
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, გრასოვი, ბუხერი (ზაიფერტი 26), ჰაბერი, მატიას ციმერმანი, ობერლაიტნერი (მენდესი 58), შვარცი, შტრაუბე, რაკლი, ბრაიტენრაიტერი (ზაიტცი 64)
გაფრთხილება: ჰირში, ჰაიტო, ბრაიტენრაიტერი, ციმერმანი
მსაჯი: ბერგი



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ლევერკუზენი 4:1. ბაიერნელმა ლოთარ მათეუსმა (მარჯვნივ) ავტოგოლის ავტორ ტორბენ ჰოფმანს ორთაბრძოლა მოუგო

# ეს იცის მთელმა გერმანიამ

ოთხშაბათს ბუნდესლიგაში არა მარტო ტურის, ალბათ, მთლიანად მეორე წრის ცენტრალური მატჩი გაიმართა. მიუნხენში, „ოლიმპიაშტადიონზე“, „ბაიერნმა“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლა. ამ შეხვედრას ყველა დიდი ინტერესით ელოდა. გასაგებიც იყო, პირველ ადგილზე მყოფი მიუნხენელები მეტოქეს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით უსწრებდნენ. თუმცა მატჩმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ცხრილი ძალთა თანაფარდობას რეალურად არ ასახავდა.

„ბაიერნს“ ჩინებულად სულაც არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, მეტოქე 4:1 გაანადგურა. მიუნხენელებმა პირველ წრეში 0:2 მარცხისთვის ღირსეული რევანში აიღეს. ბავარიელების ამ წარმატებას უჩვეულოდ ცოტა 31 ათასი ქომაგი დაესწრო, არადა, „ოლიმპიაშტადიონი“ 75 ათას კაცს იტევს.

„ლევერკუზენს“ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ძალიან ღელავდა. ფეხბურთელები დაბნეულნი ჩანდნენ. პირველი გოლიც ამის დასტური იყო. მე-2 წუთზე ჯოვანი ელბერმა სტუმართა კარის გასწვრივ დაბალი ბურთი ჩააწოდა. ექსფრაიბურგელმა ტორბენ ჰოფმანმა კი სრულიად უწყინარ სიტუაციაში თავის კარში შეაგდო. ჰოფმანს დიდი არჩევანი ჰქონდა, შეეძლო ბურთი გაეტარებინა, გაეჩერებინა და წინ მოეგერიებინა, აუტზე, უკიდურეს შემთხვევაში კი კუთხურზე გადაეგდო, მაგრამ, ეტყობა, ძალიან ღელავდა. გოლი მართლაც მოულოდნელი გახლდათ.

ამის შემდეგ თამაში თანაბრად წარიმართა, სახიფათო მომენტები პირველი ნახევრის ბოლო წუთამდე, ფაქტობრივად, არ შექმნილა. 45-ე წუთზე კი თამაში გამწვავდა. ელბერი ნოვოტნიმ საჯარიმოში წააქცია, მსაჯმა ამას ყურადღება არ მიაქცია, რითაც ბავარიელების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა ყველაფერი უმალ მოგვარდა. წამების შემდეგ მიუნხენელებმა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ეფენბერგმაც მეორე გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა. „ბაიერნი“ დაცვაში ჩაჯდა და კონტრშეტევებზე ააგო თამაში. შედეგად კიდევ ორი ბურთი შეაგდო. 56-ე წუთზე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა შტეფან ეფენბერგმა სტუმართა დაცვის უხეში შეცდომით ისარგებლა და შოლი თავისივე ნახევრიდან მეკარეს შეატოვა. შოლმა ნახევარი მინდორი გადაირბინა და ანგარიში კატასტროფული გახადა. ბოლო წუთზე შეცვლაზე ახალშესული ციკლერი გავიდა მატიშეკთან პირისპირ და მატჩს წერტილი დაუსვა. „ბაიერნის“ ამ ორ გოლს შორის ერთი, პრესტიჟისა, ლევერკუზენელებმაც გაიტანეს. ბალაკმა ჯარიმიდან ულამაზესი დარტყმით შეაგდო.

ერთი სიტყვით, „ბაიერნმა“ დამაჯერებლად მოიგო და ყველას დაუმტკიცა, რომ გერმანიაში ბადალი არ ჰყავს.

„ბაიერნი“ რომ გერმანიაში უძლიერესია, მთელმა ქვეყანამ იცის, დღეს ჩვენ ეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ“ — განაცხადა ნამატჩევს მიუნხენელთა სახელგანთქმულმა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა კი ფეხბურთელები მაინც გააკრიტიკა, მეტი კონცენტრაცია გვმართებდა, კონტრშეტევებზე უკეთესად ვითამაშებდითო.

„პირველ ტაიმში მეტოქეს ორი საგოლე შანსი ჰქონდა და ორივე გამოიყენა. მომენტების რეალიზაცია ჩვენც უნდა ვისწავლოთ“ — ისე თქვა დაუმმა, თითქოს „ლევერკუზენს“ „ბაიერნის“ კართან დიდი შტურმი მოეწყოს.

აღსანიშნავია, რომ ლევერკუზენელებისთვის ეს მიმდინარე სეზონში მეორე წაგება გახლდათ. პირველად კრისტოფ დაუმის შეგირდები მეშვიდე ტურში სტუმრად „ვოლფსბურგთან“ 1:3 დამარცხდნენ. ეს გასული წლის 2 ოქტომბერს მოხდა.

„ფრაიბურგმა“ წინა ტურში „ულმთან“ 2:0 გამარჯვებას „აინტრახტთან“ ასეთივე ანგარიშით მარცხი მოაყოლა. ფრანკფურტელთა ახალ მთავარ მწვრთნელ ფელიქს მაგათს ორი მატჩი დასჭირდა იმისთვის, რომ ფეხბურთელები თავის გემოზე აეთამაშებინა. „ფრაიბურგი“ წლეულს, ალბათ, ყველაზე ცუდად გამოიყურებოდა, თითქმის ყველა მოთამაშემ ძალიან დაბალი შეფასება დაიმსახურა. იაშვილი მწვრთნელმა სულაც პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა.

„აინტრახტის“ მოგება ძირითადად ჰელდტის ორმა ზუსტმა პასმა განაპირობა. ჯერ სობოჩიკმა გამოიყენა იგი, მერე — მუტცელმა. მასპინძელთა ამ გამარჯვებას სტუმარი კონდეს გაძევებამაც შეუწყო ხელი. მსაჯმა იგი ბოლო იმედის ჯარიმისთვის დაითხოვა მინდვრიდან.

როგორც იქნა, „აინტრახტმა“ შვიდმატჩიანი წაგებების სერია, შეწყვიტა.

„დამსახურებულად წავაგეთ, რადგან ძალიან ცუდად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში“ — ალალად აღიარა „ფრაიბურგის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ.

უიღბლო დებიუტი გამოუვიდა „დორტმუნდის“ ახალ მწვრთნელ ბერნარდ კრაუსს, რომელმაც შაბათს ჩაიბარა გუნდი. დორტმუნდელები „ვოლფსბურგს“ ეწვივნენ და თავი ცუდი თამაშით გამოიჩინეს. სტუმრები მასპინძელთა კარს, ფაქტობრივად, არც დამუქრებიან, ერთი ჰერლიხს შეეძლო მატჩის მიწურულს გატანა, მაგრამ ვერ მოახერხა. გადამწყვეტი გოლი 44-ე წუთზე იურგენ რიშემ შეაგდო.

ლიდერთა სამეულის ბოლო წარმომადგენელმა „ჰამბურგმა“ „შტუტგარტს“ მოუგო და ამ ტურში ერთადერთი გუნდი შეიქნა, რომელმაც სტუმრად გაიმარჯვა.

ამ მატჩში მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში დატრიალდა. უგოლო პირველი ნახევრის შემდეგ განელმა ენტონი იებოამ აიწყვიტა და ექვს წუთში ორჯერ გაიტანა. ეს მე-60 და 66-ე წუთებზე მოხდა. მალე ენდრესმა ერთი ბურთი გაქვითა და მასპინძლებსაც თამაშის გადარჩენის იმედი მიეცათ, მაგრამ ირანელმა მეჰდი მაჰდავიკიამ მათ ეს იმედი დაუმსხვრია.

გავარდნის რეალურმა კანდიდატმა „დუისბურგმა“ „უნტერჰახინგს“ 2:0 სძლია, თუმცა სახიფათო ზონას თავი ვერ დააღწია და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება ასე.

**ვანო ოქროპირიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე 04) | 11 |
| იებოა (ჰამბურგი) | 9 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 9 |

### XX ტური

11 თებერვალი
არმინია - ლაუტერნი
ვერდერი - ჰერტა

12 თებერვალი
ლევერკუზენი - შტუტგარტი
დუისბურგი - აინტრახტი
დორტმუნდი - ულმი
ჰანზა - ვოლფსბურგი
უნტერჰახინგი - ბაიერნი

13 თებერვალი
ჰამბურგი - შალკე
მიუნხენი - ფრაიბურგი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 19 | 12 | 4 | 3 | 37:14 | 23 | 40 | 9 | 6 | 2 | 1 | 24:8 | 16 | 20 | 10 | 6 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 20 |
| 2 ლევერკუზენი | 19 | 10 | 7 | 2 | 33:22 | 11 | 37 | 10 | 7 | 3 | 0 | 24:11 | 13 | 24 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:11 | -2 | 13 |
| 3 ჰამბურგი | 19 | 9 | 8 | 2 | 42:20 | 22 | 35 | 9 | 6 | 3 | 0 | 25:5 | 20 | 21 | 10 | 3 | 5 | 2 | 17:15 | 2 | 14 |
| 4 ვერდერი | 19 | 8 | 5 | 6 | 37:28 | 9 | 29 | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 18:14 | 4 | 12 |
| 5 მიუნხენი | 19 | 8 | 5 | 6 | 29:26 | 3 | 29 | 10 | 6 | 2 | 2 | 20:11 | 9 | 20 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | -6 | 9 |
| 6 დორტმუნდი | 19 | 7 | 7 | 5 | 24:15 | 9 | 28 | 10 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 6 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:5 | 3 | 12 |
| 7 ჰერტა | 19 | 7 | 7 | 5 | 25:28 | -3 | 28 | 9 | 4 | 4 | 1 | 15:7 | 8 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:21 | -11 | 12 |
| 8 შალკე | 19 | 6 | 9 | 4 | 26:22 | 4 | 27 | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 15 |
| 9 შტუტგარტი | 19 | 8 | 3 | 8 | 23:24 | -1 | 27 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:14 | -2 | 10 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 17 |
| 10 ვოლფსბურგი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:31 | -6 | 27 | 10 | 6 | 0 | 4 | 15:16 | -1 | 18 | 9 | 1 | 6 | 2 | 10:15 | -5 | 9 |
| 11 ლაუტერნი | 19 | 8 | 3 | 8 | 24:32 | -8 | 27 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:13 | 0 | 14 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:19 | -8 | 13 |
| 12 ფრაიბურგი | 19 | 6 | 5 | 8 | 26:25 | 1 | 23 | 10 | 5 | 2 | 3 | 18:8 | 10 | 17 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:17 | -9 | 6 |
| 13 უნტერჰახინგი | 19 | 6 | 5 | 8 | 19:22 | -3 | 23 | 9 | 6 | 3 | 0 | 12:3 | 9 | 21 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:19 | -12 | 2 |
| 14 ულმი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:27 | -5 | 22 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:7 | 8 | 17 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | -13 | 5 |
| 15 ჰანზა | 19 | 5 | 6 | 8 | 25:38 | -13 | 21 | 10 | 5 | 3 | 2 | 16:13 | 3 | 18 | 9 | 0 | 3 | 6 | 9:25 | -16 | 3 |
| 16 დუისბურგი | 19 | 3 | 7 | 9 | 20:33 | -13 | 16 | 9 | 2 | 5 | 2 | 11:8 | 3 | 11 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:25 | -16 | 5 |
| 17 აინტრახტი | 19 | 4 | 2 | 13 | 19:28 | -9 | 14 | 9 | 3 | 1 | 5 | 13:10 | 3 | 10 | 10 | 1 | 1 | 8 | 6:18 | -12 | 4 |
| 18 არმინია | 19 | 2 | 5 | 12 | 14:35 | -21 | 11 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 7 | 9 | 1 | 1 | 7 | 5:21 | -16 | 4 |

## მეორე ბუნდესლიგა

გადადებული მატჩები

**ფიურტი 1:1 ალემანია**

1:0 მაიხელბეკი (9), 1:1 სბორდონი (37)

**ბოხუმი 2:1 ჰანოვერი**

1:0 პეშელი (42), 1:1 მილოვანოვიჩი (47), 2:1 ბასტურკი (51)

**ობერჰაუზენი 0:0 კარლსრუე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 17 | 12 | 4 | 1 | 39:12 | 40 |
| კოტბუსი | 17 | 10 | 1 | 6 | 37:21 | 31 |
| ბოხუმი | 17 | 8 | 3 | 6 | 30:26 | 27 |
| ნიურნბერგი | 17 | 8 | 3 | 6 | 27:31 | 27 |
| ბერლინი | 17 | 6 | 8 | 3 | 24:19 | 26 |
| ქემნიცი | 17 | 6 | 6 | 5 | 27:22 | 24 |
| ალემანია | 17 | 6 | 6 | 5 | 26:31 | 24 |
| ვალდჰოფი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:25 | 23 |
| ფიურტი | 17 | 5 | 8 | 4 | 12:15 | 23 |
| ჰანოვერი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:23 | 22 |
| მაინცი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:21 | 22 |
| გლადბახი | 17 | 5 | 6 | 6 | 23:21 | 21 |
| ზტ. პაული | 17 | 4 | 7 | 6 | 19:23 | 19 |
| ობერჰაუზენი | 17 | 3 | 8 | 6 | 15:20 | 17 |
| კიკერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:31 | 17 |
| ფორტუნა | 17 | 3 | 6 | 8 | 15:28 | 15 |
| ოფენბახი | 17 | 3 | 6 | 8 | 15:28 | 15 |
| კარლსრუე | 16 | 2 | 7 | 7 | 20:25 | 13 |



REUTERS

რეალი — მერიდა 1:0. მადრიდელი სტივ მაკმანამანი (მარჯვნივ) მერიდელი სეზარ გარსიას წინააღმდეგ

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

### ესპანიოლი 5:1 კომპოსტელა

1:0 გალკა (23), 2:0 ველამასანი (7), 3:0, 4:0 გალკა (45, 47), 5:0 არტეაგა (82), 5:1 სიონი (84)

ესპანიოლი: კავალიერო, ნავასი, ნანდო, პოჩეტინიო, დავიდი, არტეაგა, ველამასანი (დე ლუკასი 70), სერხიო, გალკა (როჯერი 83), ბენიტესი (სერანო 59), ტამუდო

კომპოსტელა: ოსკარ ფერო, სალაპასიდისი (სიონი 46), ბელიდო (ვილენა 58), საულა, ადრიანო, მაურო, ჰუქსტრა, ანტონიო დიასი, ლეკუმბერი, რუბენი (მაურიციო 46), გუდელი

გაფრთხილება: ოსკარ ფერო, სალა პასიდისი, ბენიტესი, ადრიანო, ლეკუმბერი, როჯერი

მსაჯი: დუდენ იბანიესი

### ატლეტიკო 0:0 რაიო ვალეკანო

ატლეტიკო: ტონი, აგილერა, სანტი, გამარა, კაპდევილა, ვალერონი (ბარახა 78), ბეიბლი, უგო ლეალი, სოლარი, კიკო, ჰასელბაინკი

რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, კოტა (ამაია 59), კლოტე, ერნანდესი, ალკასარი, ფერონი (მიჩელ II 68), ჰელდერი, პაბლო სანსი, მიჩელი, კანაბალი, ლორენსი

გაფრთხილება: ბეიბლი, ჰასელბაინკი, ჰელდერი, ერნანდესი, ალკასარი

მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო

### რეალი 1:0 მერიდა

1:0 მეკა (58)

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, იერო, კარამბე (ზარატე 46), რობერტო კარლოსი, ოგნიენოვიჩი, ივან ელგერა, გუტი (რედონდო 46), მაკმანამანი (დორადო 80), მეკა, რაული

მერიდა: იგლესიასი, მარიანო, დე კუინტანა, უნაი, ალფარო, სესარი (სენა 61), პედრო, მარკოსი, ტალი (ალექსი 67), სინვალი (კარლოსაბელა 82), პრიეტო

გაფრთხილება: მარიანო, ივან ელგერა

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

ესპანეთის თასის ჩვიდმეტგზის მფლობელმა, მადრიდის „რეალმა", წლევანდელი გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის პირველ შეხვედრაში მეორედივიზიონელი „მერიდა" მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა.

„სანტიაგო ბერნაბეუს" მკვიდრებმა მეტოქეს პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხეს. მატჩის მეორე ნახევარში კი სამეფო კლუბის სარეზერვო გუნდის მოთამაშემ, შეცვლაზე შესულმა როლანდო ზარატემ 58-ე წუთზე კართან მარტო დარჩენილი თანაგუნდელი დევიდ მეკა ზუსტი პასით მოძებნა და „მერიდას" კარში გოლი გაატანინა.

მინიმალური ანგარიშით მოგების მიუხედავად, „რეალს" ნახევარფინალში მოხვედრა ალბათ არ უნდა გაუჭირდეს. აღსანიშნავია, რომ პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში „დეპორტივოსთან" განცდილმა მარცხმა (5:2) ეტყობა „რეალზე" ცუდად იმოქმედა და გუნდის ჩვეული ლაღი თამაში სადღაც გაქრა.

იმავე საღამოს დედაქალაქში კიდევ ერთი საინტერესო მეოთხედფინალური შეხვედრა ჩატარდა. „ვისენტ დე კალდერონზე" ერთმანეთის პირისპირ ორი მადრიდული კლუბი — „ატლეტიკო" და „რაიო ვალეკანო" წარსდგა. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ფრედ 0:0 დასრულდა. თუმც შეხვედრა ორმხრივ შეტევებში წარიმართა და საკმაოდ მოულოდნელია, რომ ერთმა გუნდმაც ვერ მოახერხა თავის გამოჩენა. განმეორებითი მატჩი უთუოდ საინტერესო იქნება, რაც ნამდვილად არ ითქმის თითქმის ფორმალობად ქცეულ „ესპანიოლისა" და მეორედივიზიონელ „მერიდას". შეხვედრაზე „ესპანიოლმა" მეტოქე 5:1 დაამარცხა და თუ მართლაც სასწაული არ მოხდა, ნახევარფინალის საგზური ამთავითვე დაიბევა.

შეგახსენებთ, რომ საპასუხო მატჩები 16 და 17 თებერვალს გაიმართება.

## ჰოლანდია

### ტვენტე 1:0 ვალვაიკი

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (4)

### მაასტრიხტი 2:0 დენ ბოსხი

1:0 კორჩაგინი (25პ), 2:0 კაერსი (54)

### ალკმარი 4:0 სპარტა

1:0, 2:0 ბოსმანი (16, 42), 3:0 ოპდამი (51), 4:0 პერესი (65)

### ტილბურგი 3:1 ნაიმეგენი

0:1 შულცი (42), 1:1 ჰესპი (78ს.კ.), 2:1 შუკოვი (79), 3:1 რამსი (82)

### სიტარდი 2:3 ფეიენოორდი

1:0 როესტი (73), 2:0 კრიკსმანი (47), 2:1 ბოსველტი (76), 2:2 კაირო (83), 2:3 ხულიო კრუზი (87)

**ჰოლანდიაში** სამი კლუბია, ვისი თამაშიც ინტერესს იწვევს. დავაზუსტოთ, ეს მაშინ, როცა ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან. დანარჩენ შემთხვევებში უმეტესად ისეთი ანგარიშები ფიქსირდება, რომელიმე სხვა სახეობას, მაგალითად, ჰოკეის რომ შეჰფერის.

მიუხედავად იმისა, რომ როტერდამის „ფეიენოორდი" სტუმრად თამაშობდა, მოქმედ ჩემპიონს სიტარდის „ფორტუნას" ძლევა არ უნდა გასჭირვებოდა. მასპინძლები ხომ გათამაშების ცხრილში მეთხუთმეტენი იყვნენ და პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვისღა იბრძვიან.

მატჩი მართლაც უხვგოლიანი გამოდგა, თუმცა ბურთი მხოლოდ ერთი გუნდის ანუ „სიტარდის" კარის ბადეს როდი არხევდა. მოულოდნელი დასაწყისი იყო. როტერდამელთა საჯარიმოში შეჭრილი რალფ ლანდერლი პეტერ ვან ფოსენმა წააქცია. რობერტ როესტმა პენალტი ზუსტად დაარტყა და სტადიონზე თავმოყრილი 7 ათასიოდე გულშემატკივარი დიდად გაახარა. ეს ამბავი კი ტაიმის დასაწყისში, მე-7 წუთზე მოხდა. შესვენებაზე გუნდები ამ ანგარიშით გავიდნენ. თამაშის განახლება და მეორე გოლის გატანა ერთი იყო. სიტარდელმა დენის კრიკსმანმა სტუმრები მეორედ დაალონა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო. გუნდს სახიფათო ზონიდან ოდნავ აწევის შანსი მიეცა და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი. სიტარდელთა ასეთმა ტაქტიკამ „ფეიენოორდს" შეტევების გამძაფრების საშუალება მისცა. სტუმართა მონდომებამ პირველად შედეგი 76-ე წუთზე გამოიღო, როდესაც პოლ ბოსველტმა მეტოქის დაცვა გაარღვია და ბურთი ახლო მანძილიდან შეაგდო. თამაშის დასრულებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა. ლეო ბენჰაკერმა ერთი მცველი თავდამსხმელით შეცვალა, რამაც გაამართლა კიდეც. 83-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ელერი კაირომ ანგარიში გაათანაბრა. სიტარდელები გაოგნებულები დარჩნენ — მათ გამარჯვება ხელიდან გამოეცალათ. საპირისპიროდ, როტერდამელებს მადა გაეხსნათ და შინ ერთი ქულით დაბრუნება ეცოტავათ. მატჩის ბედის გადამწყვეტი გოლი 87-ე წუთზე ხულიო კრუზმა შეაგდო. მისი 15 მეტრიდან დარტყმული ბურთი პირდაპირ „ცხრიანში" შეფრინდა.

მოგებამ „ფეიენოორდი" მეორე ადგილზე გადაიყვანა. ახლა იგი ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება.

ტურის ცენტრალური მატჩი კი გუშინ გვიან ღამით გაიმართა. პსვ-მ ამსტერდამის „აიაქსს" უმასპინძლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 20 | 14 | 2 | 4 | 61:17 | 44 |
| ფეიენოორდი | 20 | 12 | 6 | 2 | 39:21 | 42 |
| ჰერენვენი | 20 | 13 | 2 | 5 | 39:20 | 41 |
| აიაქსი | 19 | 12 | 4 | 3 | 51:26 | 40 |
| ტვენტე | 20 | 11 | 7 | 2 | 36:19 | 40 |
| ვიტესი | 21 | 11 | 6 | 4 | 40:29 | 39 |
| ალკმარი | 21 | 11 | 2 | 8 | 41:35 | 35 |
| ტილბურგი | 20 | 10 | 4 | 6 | 34:35 | 34 |
| ვალვაიკი | 21 | 10 | 2 | 9 | 31:39 | 32 |
| როდა | 19 | 9 | 3 | 7 | 30:25 | 30 |
| უტრეხტი | 19 | 8 | 1 | 10 | 30:35 | 25 |
| გრააფსხაპი | 21 | 4 | 8 | 9 | 25:34 | 20 |
| სპარტა | 20 | 6 | 2 | 12 | 28:44 | 20 |
| ნაიმეგენი | 20 | 4 | 4 | 12 | 24:41 | 16 |
| მაასტრიხტი | 21 | 4 | 4 | 13 | 27:45 | 16 |
| სიტარდი | 20 | 3 | 5 | 12 | 25:36 | 14 |
| კამბური | 19 | 2 | 4 | 13 | 17:41 | 10 |
| დენ ბოსხი | 21 | 2 | 4 | 15 | 20:56 | 10 |



სიტარდი — ფეიენოორდი 2:3. სტუმარი ხულიო კრუზი მეტოქეს გაურბის

# აფრიკა, 2002 წელი

**აფრიკის** თასის გათამაშება ჯერ არ დასრულებულა და შავი კონტინენტის ფეხბურთის მამები უკვე 2002 წელს გასამართი ტურნირისთვის ემზადებიან. მომდევნო გათამაშების შესარჩევი მატჩები დეკემბერში დაიწყება, მაგრამ მონაწილეობის მიღების მსურველი ქვეყნებისგან განაცხადების შეტანას უკვე ახლა ითხოვენ. ამგვარი აჩქარების მიზეზი მეტად უცნაურად ჟღერს — აფრიკაში კავშირგაბმულობის ქსელები ძალიან ცუდად მუშაობს და თადარიგს აქედანვე იჭერენ.

მომდევნო გათამაშებაში აფრიკული ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას. პირველობის ფინალურ ეტაპზე (რომელიც მალიში ჩატარდება) გასვლის სურვილი ორმოცდაოთხმა სახელმწიფომ გამოთქვა. ეს რიცხვი ორით მეტია 2000 წლის გათამაშების შესარჩევ ციკლში ჩაბმულთა რაოდენობაზე.

მოულოდნელობებიც მოხდა. 44 განაცხადს შორის კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის და ტოგოსი არ გვხვდება. არადა ეს გუნდები განა — ნიგერიაში თამაშობდნენ, თუმც ჯგუფიდან გასვლა ვერ შესძლეს. ასევე გაოცებას იწვევს ლიბერიელთა თავშეკავება. არც ჟორჟ ვეას თანამემამულეთ გამოუთქვამთ კონტინენტის პირველობაზე მონაწილეობის სურვილი. ამ სამის გარდა, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას კიდევ ხუთმა ქვეყანამ არ წარუდგინა საჭირო დოკუმენტები. ესენია, კენია, კაპა ვერდე, სან ტომე და პრინსიპი, სეიშელის კუნძულები და სომალი.

ლაგოსში, გუშინ გამართულ კონფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გადაუწყვეტიათ, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისთვის დამატებითი ვადა მიეცათ. რა იცი, რა ხდება. თუ აფრიკაში კავშირგაბმულობა ცუდად მუშაობს, იქნებ განაცხადის დაგვიანების მიზეზიც ეს იყოს.

## იტალია

### თასის ნახევარფინალი. I მატჩი

### კალიარი 1:3 ინტერი

0:1 მუტუ (48), 1:1 მოდესტო (58), 1:2, 1:3 ვიერი (60, 90)

კალიარი: სკარპი, ლოპესი (ბიანკონი 55), ვილა, ძებინა, დილიზო (მელისი 64), მოდესტო, კარუზო, ბერეტა (კავეცი 62), მაჩელარი, მაიელე, ოლივეირა

ინტერი: ფერონი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, სერენა, კოე, დი ბიაჯო (ძანეტი 78), ზეედორფი, გეორგატოსი (კოლონეზე 86), მუტუ (რეკობა 81), ვიერი

გაფრთხილება: მაჩელარი

მსაჯი: ტრენტალანჯე

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის, კრისტიან ვიერის ორმა გოლმა მილანის „ინტერს" იტალიის თასზე, „კალიარის" წინააღმდეგ გასვლით შეხვედრაში, გამარჯვება მოუტანა — 3:1 და ერთი ფინალისტის ვინაობა თითქმის გამოავლინა. საპასუხო მატჩი გუნდებს ერთი კვირის შემდეგ მილანში, „სან სიროზე" ელით. თუმც ძნელი წარმოსადგენია, „კალიარიმ" სტუმრად ორბურთიანი სხვაობის გაქვითვა შეძლოს.

დიდი უპირატესობის მიუხედავად, „ინტერმა" პირველ ტაიმში მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. „კალიარი" წარმატებით იცავდა კარს. შეხვედრის მეორე ნახევარი კი მხოლოდ სამი წუთის დაწყებული იყო, როცა მილანელთა რუმინელმა ლეგიონერმა ადრიან მუტუმ 18 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა და თავისიანები დააწინაურა. „კალიარის" მეკარე ალესიო სკარპი უძლური აღმოჩნდა და კარისკენ მიმავალ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. თუმც მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და 10 წუთში ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს. შეტევის მარცხენა ფლანგზე ფაბიო მაჩელარის აქტიურობას მოდესტომ აუბა მხარი და „ინტერს" საკმაოდ ეფექტიური გოლი გაუტანა.

სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა უზომოდ გაიხარა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ კრისტიან ვიერიმ მათ ნაადრევი სიხარული ჩაუმწარა. ბერძენი გეორგატოსის საგოლე გადაცემა ვიერიმ ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა. შეხვედრის უკანასკნელ წუთზე კი მანვე მშვენიერი გარღვევის შემდეგ სკარპის მესამე გოლი გაუტანა, რითაც გამარჯვებულის ვინაობა გამოავლინა.

საპასუხო შეხვედრა, რომელიც 17 თებერვალს „სან სიროზე" ჩატარდება, ალბათ მხოლოდ ფორმალობა იქნება.

ფინალისტის მეორე საგზურს ერთმანეთს „ლაციო" და „ვენეცია" ეცილებიან. მათი პირველი შეხვედრა გუშინ გვიან ღამით რომში გაიმართა.



მილანის „ინტერის" თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ (მარჯვნივ) „კალიარის" ორი გოლი გაუტანა

# ვარსკვლავობამდე გავარსკვლავებული

**ბოლო** დროს ტურინში დიდი აჟიოტაჟია — 1 თებერვალს „იუვენტუსმა" ენცო მარესკა იყიდა. ეს უცნობი სახელი და გვარი სპეციალისტთა აზრით მალე ბევრს აალაპარაკებს. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „იუვენტუსთან" ხელშეკრულების დადების დღიდან მარესკა კარლო ანჩელოტის „დიდ" გუნდში ჰყავს და მთელს მსოფლიოში აღიარებულ ვარსკვლავებთან აცხოვრებს და ავარჯიშებს.

მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ ვარსკვლავბიჭუნას, რომელსაც გუშინ 20 წელი შეუსრულდა.

ენცო მარესკა დაიბადა სამხრეთ იტალიაში, ქალაქ სალერნოს მახლობლად, პორტეკანიანოში. პროფესიონალ ფეხბურთელად გახდომის სურვილმა იგი მშობლებს 11 წლისა დააცილა. „მილანის" სკოლის გავლის შემდეგ მარესკა სერია B-ს „კალიარიმ" შეიძინა და 20-მდე შეხვედრაში ათამაშა. „კალიარიში" თამაშით ჭაბუკმა ინგლისური „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ყურადღება მიიპყრო და 1998 წელს ბრიტანეთში ამოჰყო თავი. იქ, ინგლისის პირველ დივიზიონში იტალიელმა 60 მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც ტურინში ამოჰყო თავი.



ენცო მარესკა

ამპლუით ენცო მარესკა ნახევარმცველია. მას უპირატესად მცველების წინ ათამაშებენ ხოლმე, თუმცა შემტევ ნახევარმცველადაც ერთობ აქებენ.

ამჟამად იუვენტუსელი ათდღიანი სტაჟით „შავ-თეთრთა" ბანაკში გამოცდილ მცველს, ჩირო ფერარას ჩააბარეს. როგორც ამბობენ, მეგობრობით იგი ახალგაზრდებთან, მათ შორის ალესიო ტაკინარდისთან მეგობრობს.

ტაკინარდიმ ახალწვეული ასე დაახასიათა: „მარესკა ძალიან ძლიერია და ნებისმიერი ჩვენთაგანივით ნებისმიერ წუთს მზადაა ძირითად შემადგენლობაში სრულყოფილად თამაშისთვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჯოვანი ტრაპატონი

# ტოსკანიაში ჩეხთან მოლაპარაკებას უარყოფენ

გუშინ იტალიურმა „ფიორენტინამ“ ოფიციალური განცხადება გაავრცელა. ფლორენციელები უარყოფენ გუშინწინ გავრცელებულ ხმას, თითქოს ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ ცნობილ ჩეხ მწვრთნელთან, ზდენეკ ზემანთან, მომავალი სეზონიდან მათ გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმების თაობაზე.

ცნობა, რომელიც გუშინდელ „სარბიელშიც“ ეწერა, იტალიის დიდმა გაზეთებმა, ბუნებრივია, ერთობ თვალშისაცემად წარმოაჩინეს. მის თანახმად, რომაული გუნდების, „ლაციოსა“ და „რომას“ ყოფილი თავკაცი, ზდენეკ ზემანი, ფაქტობრივად მოლაპარაკებული იყო „ფიორენტინას“ პატრონებთან, რომელთაც გუნდის დღევანდელი ხელმძღვანელის, ჯოვანი ტრაპატონის თანამდებობიდან გაშვება ჰქონიათ გადაწყვეტილი.

„როგორც კლუბის პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი, ასევე გენერალური მენეჯერი ლუჩანო ლუნა, კატეგორიულად უარყოფენ, რომ „ფიორენტინა“ რაიმე კავშირშია ბატონ ზემანთან და ადასტურებენ ჯოვანი ტრაპატონის სრულ თანადგომას“ — წერია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ზდენეკ ზემანი „რომადან“ წასვლის შემდეგ ცოტა ხნით თურქეთში, სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ მუშაობდა.

*იტალიურ სერია B-ში მოასპარეზე „სამპდორიას“ მეკარე მატეო სერენიზე დიდ აჟიოტაჟია ატეხილი. ახალგაზრდა პერსპექტიული გოლკიპერის გადაბირებას რამდენიმე ევროპული გრანდი ცდილობს. ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „არსენალმა“, აგრეთვე ესპანურმა მადრიდის „რეალმა“ უკვე ოფიციალურად გამოთქვეს სერენის შეძენის სურვილი. თუმცა მთავარ პრეტენდენტად „მანჩესტერი“ ითვლება, რომელიც პერსპექტიულ მეკარეში 5 მილიონ გირვანქას (დაახლოებით 8 მილიონი დოლარი) იხდის.*


მატეო სერენი

# ახალი სახეები სკუადრა აძურაში

ძველი შემთხვევა უნდა გავიხსენოთ. იტალიის ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურში „პარმა“ „იუვენტუსს“ მასპინძლობდა. შეხვედრის 77-ე წუთზე დინო ბაჯოს და ჯანლუკა ძამბროტას შელაპარაკება მოუხდათ. მოჩხუბართა გაშველება მსაჯმა ფარინამ ითავა. უმცროსმა ბაჯომ არბიტრს ხელით უხამსი რამ აჩვენა და წითელი ბარათიც მიიღო. ფეხბურთელის საქციელზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა და ბაჯო ეროვნული ნაკრებიდან ერთი მატჩით მოკვეთა. „სკუადრა აძურას“ მომდევნო შეხვედრა პალერმოში შვედეთის ნაკრების წინააღმდეგ ჰქონდა გასამართი.

და აი, 23 თებერვალიც ახლოვდება — შვედებთან დათქმული ამხანაგური მატჩის დღე. დინო ძოფს ბაჯოს შემცვლელის ძებნა დასჭირდა. ნაკრებში კიდევ ერთი ადგილიც იყო შესავსები. დემეტრიო ალბერტინის „მილანის“ სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა სულ უფრო და უფრო უჭირს, „პაპა დინო“ კი უთამაშებელ ფეხბურთელს თავისთან ადგილს არ აძლევს.

შემცვლელებიც გამოიძებნა. ბაჯოს და ალბერტინის იუვენტუსელი ალესიო ტაკინარდი და უდინეზელი სტეფანო ფიორე შეცვლიან. ტაკინარდი შავ-თეთრთა რიგებში თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. იმავდროულად „ლაციოდან“ „უდინეზეში“ გადაბარგებული ფიორე კლუბის წამყვან მოთამაშედ იქცა.

„მეც და ფიორეც ძალიან გახარებულები ვართ — ამბობს ტაკინარდი — დინო ძოფი გვენდობა და ჩვენც თავს არ შევირცხვენთ. ამ დროისთვის ორივენი საუკეთესო ფორმაში ვართ. ამასთანავე, ვფიქრობ, ნაკრებს ახალი სახეები სჭირდება“. ტაკინარდის ზრდილობის ნორმების დაცვაც არ დავიწყებია და ალბერტინი გულთბილად მოიხსენია. „დემეტრიო დიდი ფეხბურთელია. მწამს, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ის ძველ ფორმას აღიდგენს და „სკუადრა აძურას“ სარგებლობას მოუტანს“ — თქვა თავაზიანმა ტაკინარდიმ.


დინო ძოფი

**გიორგი დარჯანია**

# გადაჯაჭვული თემა მეკარეებზე

გასული სეზონის ბოლოს გუნდიდან ლეგენდარული პიტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავაც ახალი მეკარის ძიებაშია. იტალიური „ვენეციადან“ სეზონის დასაწყისში გადაბარგებულმა მასიმო ტაიბიმ აშკარად ვერ გაამართლა და ინგლისელებმა იგი იტალიურ „რეჯინაში“ გაანათხოვრეს. როგორც ირკვევა, სერ ალექს ფერგიუსონს არც ავსტრალიელი მარკ ბოსნიჩისა და ჰოლანდიელი რაიმონდ ვან დერ გოუს ასპარეზობის დონე აკმაყოფილებს და მათ შემცვლელს ეძებს. სერ ალექსის ყურადღება ახალგაზრდა სერენიმ მიიპყრო, თუმც თუ მასთან ვერ შეთანხმდა, „მანჩესტერს“ ახალი მეკარე ალბათ მაინც ეყოლება. „წითელმა ეშმაკუნებმა“ ბელგიის 21-წლამდელთა ნაკრებისა და იტალიური სერია B-ში მოასპარეზე „მონცას“ კარის დარაჯი ჟან ფრანკო შეიგულეს.

ცნობილია, რომ მეკარის პრობლემას ესპანეთის სამეფო კლუბი მადრიდის „რეალიც“ განიცდის. ძირითადი გოლკიპერის, გერმანელი ბოდო ილგნერის დამტვრევის შემდეგ გუნდის კარს ახალგაზრდა ალბანო ბიზარი იცავს, მაგრამ გამოუცდელობის გამო საკმაოდ ხშირად უშვებს მარტივ შეცდომებს, განსაკუთრებით გამოსვლისას ცდება. „რეალის“ ხელმძღვანელობამ სწორედ ამიტომაც დაადგა თვალი სერენის.

ლონდონის „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს კი ვეტერანი დევიდ სიმენის შემცვლელის პოვნა გასჩენია თავსატეხად. „მეთოფეთა“ რიგებში საკმაოდ პერსპექტიული მეკარე ალექს მანინგერიც ირიცხება, მაგრამ ლონდონური კლუბის თავკაცობა ახალ გოლკიპერს ეძებს. თუ სერენის ყიდვა ჩაეშალათ, ისინი ალბათ, არგენტინული „როსარიო სენტრალის“ კარის დარაჯ ეზეკელ გონსალესს გადაიბირებენ, რომლის შეძენის სურვილს ესპანური „სელტაც“ გამოთქვამს, რადგან, როგორც ცნობილია, ვიგოური კლუბის ძირითადი მეკარე მიშელ დუტრუელი მომავალი სეზონიდან „ბარსელონაში“ გადაბარგებას აპირებს.

**ნიკა შუგლაძე**

# ნუნიესი და ქილა ერბო

## გრემიო რონალდინიოში სარეკორდო თანხას — 72,5 მილიონ დოლარს ითხოვს

გულშემატკივარს უთუოდ ემახსოვრება, შარშან კოპა ამერიკასა და კონფედერაციის თასზე ბრაზილიის ნაკრებში მოასპარეზე ახალგაზრდა ყმაწვილი რონალდინიო. თავდამსხმელი, რომელმაც თავისი ტექნიკითა და სისწრაფით ფეხბურთის მრავალი სპეციალისტის ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

რონალდინიოს, რომელსაც 21 წელი მარტში შეუსრულდება, ესპანურმა გრანდმა „ბარსელონამაც“ დაადგა თვალი. რა გასაკვირია, „ბარსას“ ხომ უკანასკნელ წლებში ბრაზილიური ფეხბურთის აღზრდილებმა ერთობ გაუმართლეს. 90-იან წლებში კატალონიურ გრანდში ჯერ რომარიო, შემდეგ რონალდო, ბოლოს კი რივალდო გამოჩნდა. სამივე მათგანმა მსოფლიოს ფეხბურთის მასშტაბით გაიბრწყინა და გუნდში თავისი ღირსეული სიტყვა თქვა...

ესპანეთის ჩემპიონები, მას შემდეგ ბრაზილიელი მოთამაშეებით ერთიორად დაინტერესდნენ.

ახალგაზრდა, ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელი დღეს მსოფლიოს საფეხბურთო ბაზარზე ორმაგად ფასობს. მათში გადახდილი ყოველი კაპიკი (მილიონი!) ხვალ შეიძლება გაათმაგდეს. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ „ბარსელონამ“ რონალდინიოს შეძენა მოიწადინა.

ბრაზილიელებს კი ევროპელებთან ურთიერთობაში ნელ-ნელა ჭკუა უსწავლიათ და თავიანთი ახალგაზრდა ტალანტები პირველივე მსურველისთვის — „ჟილ ვისენტე“, „დენ ბოსხისა“ და „ნიორისთვის“ — აღარ ემეტებათ.

ცბიერები არიან... იციან, რომ დღეს თუ არა ხვალ მათ ანკესზე „რეალი“, „ინეტრი“ ან „მანჩესტერ იუნაიტედი“... წამოეგება.

ასეც მოხდა, „ბარსელონამ“ რონალდინიოს შეძენა გადაწყვიტა. ხოსეპ ლუის ნუნიესს („ბარსელონას“ პრეზიდენტია) ალბათ ეგონა, „გრემიოს“ (რონალდინიოს ამჟამინდელი კლუბი) 2,2 მილიონს (თუ მაინცდამაინც 2,35 მილიონს) შევთავაზებ, დამთანხმდებიან აბა, რას იზამენ, მეტს მაგათ ვინ მისცემს და რონალდინიოსაც ლურჯ-წითელ მაისურას მოვარგებო, მაგრამ ნურას უკაცრავად. აკი გითხარით, ბრაზილიელებმა ჭკუა ისწავლეს-მეთქი... სამხრეთამერიკელებმა ატლანტიკის გაღმიდან დაახლოებით ასეთი შინაარსის პასუხი აფრინეს — „72,5 მილიონ დოლარს გადაიხდით, არადა, რონალდინიოზე არც იოცნებოთო“.

ამის გამგონე ნუნიესს კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია. ისიც ცხადია, ბრაზილიელებს რა თვალით დაუწყებს ყურებას. იჯდა მანამდე ნუნიესი თავისთვის და ფიქრობდა: აგერ ამხელა რივალდო მყავს, 65 მილიონს მიხდიან, მიხდიან და გავყიდი. მაგ ფასად რამდენიც გინდა, იმდენი რონალდინიო მომივა. ფულიც არ დამრჩებაო? მაგრამ ვაი, რომ ბრაზილიელების პასუხმა დაუმსხვრია ერბოს ქილა, დაალონა კაცი... რაღა ქნას ახლა? გაყიდოს რივალდო?

მკითხველს შევახსენებთ, რომ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის სახელი დღემდე იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ თავდამსხმელ კრისტიან ვიერის უკავშირდება, რომელიც შარშან რომის „ლაციოდან“ „ინტერში“ 50 მილიონ დოლარად გადაბარგდა.

**ნიკა შუგლაძე**


რონალდინიო

# ინფორმატორები პოლიციისთვის

ევროპის ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად თანამასპინძელი ქვეყნების პოლიციას საქმე ემატება. ჰოლანდიელმა სამართალდამცავებმა უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად ასეთი რამ მოიფიქრეს — სასტუმროთა მეპატრონეებს შეუთვალეს, ჩემპიონატის დღეებში თქვენთან დაბინავებულ ყოველ უცხოელზე ამომწურავი ცნობები მოგვაწოდეთო. ამბობენ, ინფორმაციის ფლობა სიტუაციის კონტროლს ნიშნავსო და პოლიციის მიზანიც ეს არის.

ჰოლანდიაში ოტელების მფლობელებს საკუთარი პროფკავშირის მაგვარი ორგანიზაცია აქვთ შექმნილი, რასაც ჰორეკა ჰქვია. ჰოდა, მისმა წარმომადგენელმა, ქალბატონმა ანა გრუნევერგენმა თქვა, პოლიციას რომ სურს, არც ასეა საქმეო. „წესრიგის დამცველებთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს, — ამბობს გრუნევერგენი — ცხადია, გვსურს, რომ ჩემპიონატი ბრწყინვალედ იყოს ორგანიზებული, მაგრამ...“

ტიტების ქვეყანაში კანონი მოქმედებს, სანამ ადამიანი წესრიგს არ დაარღვევს, მანამ მისი პიროვნებით დაინტერესების უფლება არავის აქვს. რა გამოდის? სანამ ვაიგულშემატკივრები წესიერად მოიქცევიან, მათი ვინაობა პოლიციისთვის უცნობი დარჩება. ხოლო მაღაზიის ვიტრინების მტვრევას რომ დაიწყებენ, მერე გინდ გაიგე, გინდა არა.

# შეიძლება ფეხბურთით ბიზნესი აწარმოო?

ინგლისი რომ ბუქმეიკერთა სამშობლოა, ეს კარგა ხანია, ცნობილია. იქაურ კანტორებში რომ დიდი ფული ტრიალებს, არც ეს გახლავთ სიახლე.

ამბავს, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, ორი წლის წინ დაიწყო და თავისი ლოგიკური გაგრძელება ახლა ჰპოვა.

1997-98 წლების სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერი იყო. მეტიც, უახლოეს მდევარს მთელი 12 ქულით უსწრებდა. „წითელი ეშმაკუნების“ ერთობ გიჟმაჟმა და აზარტულმა ფანმა, მეტსახელად „ფრედი წითლებში“ — ფულის ბანკში დაბანდებას და დივიდენდების ლოდინს, ბუქმეიკერთა მომსახურება ამჯობინა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გაჩემპიონებაზე საკმაოდ სოლიდური თანხა — 400 ათასი გირვანქა (დაახლოებით 645 ათასი დოლარი) შეიტანა. პრემიერლიგის სეზონის ბოლოს კი ფრედი თანხის გაორმაგებას ელოდა — რომელი შვეიცარიული ბანკი შეედრება?

მაგრამ საბრალო ფრედიმ აბა, რა იცოდა, რომ იმ წელს ინგლისის ჩემპიონი მისი საყვარელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი არა, ლონდონის „არსენალი“ გახდებოდა.

მოკლედ, მთელი ფული გაკარგა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგას წლეულსაც ლიდერობს. მართალია, 12 ქულით არა, მაგრამ 6-ით ნამდვილად... ამ ჩვენ ფრედის კი სპორტული ჟინი სულაც არ დაოკებია, პირიქით, ამბობს, შარშანწინ რაც წავაგე, წლეულს ერთიორად უნდა ამოვილო ყველაფერი, გული მიგრძნობს, „მანჩესტერი“ ნაღდად ჩემპიონიაო.

მოკლედ, ბუქმეიკერთა კანტორას ალბათ კვლავ მიაკითხავს. ჩვენ კი ჯიუტი ფრედის მატერიალურ მდგომარეობას მაისის თვისთვის შევიტყობთ.

# სახელშებღალული შალიმოვი

## ახსნა-განმარტების წერას ცხრა თვეს ნუ მოანდომებ! თორემ...


იგორ შალიმოვი

ეს ამბავი ასე დაიწყო. 1999 წლის მაისში „ნაპოლიში“ მოთამაშე რუსთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი იგორ შალიმოვი მატჩის შემდეგ ტესტირებაზე გამოიძახეს. ჩვეულებრივი მოვლენაა — ამოწმებენ, ემანდ სპორტსმენს ნაცუღლუტარი არ ჰქონდეს, აკრძალული პრეპარატები არ გადაეყლაპაო. ჰოდა, შალიმოვს ორგანიზმში ნადროლონის გვარიანი დოზა აღმოუჩინეს. ნადროლონს (ერთგვარი სტეროიდ-სტიმულატორია) კი ანტიდოპინგური კომისია ალმაცერად უყურებს. მკაცრმა განაჩენმაც არ დააყოვნა. მსგავსი დანაშაულისთვის მარადონა მოკვეთეს და შალიმოვს რა დღეს დააყრიდნენ. ერთი სიტყვით, რუსული ფეხბურთის ვარსკვლავს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. დოპინგმიღებული ფეხბურთელების (და საერთოდ სპორტსმენების) აბსოლუტური უმრავლესობა გაიძახის, ექიმებმა რაღაც აბები მაყლაპეს და ნემსები მიშხაპუნეს, ხოლო რა იყო, წარმოდგენა არ გვაქვსო. იგორ შალიმოვიც ასე მოიქცა. მან ფეხბურთის ფედერაციაში აპელაცია შეიტანა და ახსნა-განმარტებაც მიაყოლა. „მე მხოლოდ პატიოსანი კაცის სახელის აღდგენა მსურს — ამბობს ფეხბურთელი — შარშან მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში ვიწექი — შინაგანი სისხლჩაქცევა მქონდა. სტეროიდის მიღება მკურნალობის კურსში შედიოდა. კლინიკიდან გამოწერასა და მატჩის შემდგომ ტესტირებას შორის საკმაო დრო იყო გასული. ვერც ვიფიქრებდი, პრეპარატი ორგანიზმში ასე დიდხანს თუ დარჩებოდა“.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში შალიმოვის აპელაცია არც წაიკითხეს. ჩინოვნიკებმა მხოლოდ თარიღს დახედეს და ფეხბურთელს შეუთვალეს, პრეტენზიები თუ გქონდა, დროულად უნდა მოგემართაო. მართლაც, 1999 წლის მაისის შემდეგ რუსს ორაზაციანი სარჩელის დასაწერ-გასაგზავნად საკმაო დრო დასჭირვებია. შალიმოვი კი თავისას არ იშლის და იმუქრება, ნამუსის მოწმენდის საშუალება მომეცით, თორემ ზემდგომ ინსტანციაში გიჩივლებთო და თითს ციურიხისკენ იშვერს, სადაც ფიფას შტაბბინა მდებარეობს.

იგორ შალიმოვი ახლა 31 წლისაა და თუ დისკვალიფიკაცია არ მოუხსნეს მის საფეხბურთო კარიერას საშიშროება ემუქრება.

**გიორგი დარჯანია**

---

ფეხბურთის [illegible]



**იტალიურ „მილანს“ სერია A-ს მორიგ ტურში, „ბოლონიასთან“ მატჩის წინ სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. კლუბს მხოლოდ ორი მცველი ჰყავს. არგენტინელ ხოსე შამოტს კუნთი აქვს დაჭიმული. ალესანდრო კოსტაკურტა ტრავმის მიღების შემდეგ ჯერაც არ არის ჩვეულ ფორმაში. ლუიჯი სალა გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს. ასევე ვერ დაეხმარება გუნდს ტარიბო ვესტი, რომელიც ნაკრებშია გამოძახებული და ნიგერიაში იმყოფება. ალბერტო ძაკერონი მხოლოდ პაოლო მალდინის და ფაბიან აიალას იმედადაა დარჩენილი. თუ კოსტაკურტა შაბათამდე ვერ მომჯობინდა, მის ადგილს სავარაუდოდ დანიელი ნახევარმცველი ტომას ჰელვეგი დაიკავებს.**

ინგლისურმა „ლესტერმა“ „ასტონ ვილას“ ფორვარდი სტენ კოლიმორი გადაიბირა. ფეხბურთელის განცხადებით, ბირმინგემულ კლუბში მას მომავალი არ ჰქონდა. მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ იგი გუნდიდან სამუდამოდ მოკვეთა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად 29 წლის კოლიმორი 1995 წელს ინგლისის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახლდათ. „ნოტინგემ ფორესტიდან“ „ლივერპულში“ იგი 8,5 მილიონ გირვანქად (დაახლოებით 13,65 მილიონი დოლარი) გადაბარგდა. „ასტონ ვილაში“ კოლიმორი 1997 წლის შემდეგ ასპარეზობს.

**შოტლანდიური „სელტიკის“ მწვრთნელი ჯონ ბარნსი მოხსნეს. ეს გადაწყვეტილება შოტლანდიის თასზე დაბალდივიზიონელ „აინვერნსთან“ სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ მიიღეს, რითაც კლუბის გულშემატკივრები გაანაწყენეს. თავად ყოფილი მწვრთნელი და „სელტიკის“ ხელმძღვანელობა კომენტარებისგან თავს იკავებენ.**

ჰოლანდიური პსვ-ს თავდამსხმელი რუუდ ვან ნისტელროოით ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესდა. მოლაპარაკებები ალბათ უახლოეს მომავალში დაიწყება. აღსანიშნავია, რომ ნისტელროოის შეძენის სურვილს იტალიური „რომა“ გამოთქვამდა, მაგრამ შეთავაზება თავად ფეხბურთელმა უარყო და განაცხადა, რომ ინგლისის პრემიერლიგაში ურჩევნია თამაში.

---

# ჰოპლა, ჩვენ ნაახალწლევს არ გაგვიჭირდა

*ლონდონის „არსენალის“ ყოფილი მცველი დევიდ ოლირი დღეს „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელია და მის ხელში გუნდი, რომელსაც სრულიად ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს, პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერთაგანია. მას ტიტულის რეალურ კანდიდატადაც კი განიხილავენ, თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩამოტოვება ურთულესი საქმე რომაა, თავად ოლირისაც კარგად მოეხსენება.*


დევიდ ოლირი

**— როგორ ატყობთ, დიდხანს გაგრძელდება თქვენი, როგორც მწვრთნელის, თაფლობის თვე?**

— არასდროს მიგრძვნია, რომ როგორც მწვრთნელს თაფლობის თვე მიდგას. „ლიდსის“ მაგვარ დიდ კლუბში მომუშავე ადამიანს ასეთი შეგრძნება ერთი დღითაც ვერ ექნება. ორი-სამი თამაში რომ წააგო, რაგინდ დიდი გამოცდილება და სტაჟი გქონდეს, ხელად ზეწოლის ქვეშ მოხვდები.

**— დღეს ძალიან ბევრი ადარებს ერთმანეთს „ლიდს იუნაიტედსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“. თქვენც თვლით, რომ იმავე გაქანების გუნდი გყავთ?**

— ასეთი შედარება საეჭვოა, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედი“ ძალიან დიდი კლუბი გახლავთ. ვინძლო ის მსოფლიოში საუკეთესოც იყოს, ამიტომ, როდესაც ხალხი ამბობს „ლიდსი“ მისებრ ძლიერიაო, ვიცი, რომ ეს სისულელეა. ჩვენ მათ წინააღმდეგ კარგად თამაში მართლაც შეგვიძლია, მაგრამ გუნდის ზომაში ძალიან ჩამოვრჩებით, ამის გამოსწორება კი არც 6 თვეში შეიძლება და არც 18-ში. „ლიდსი“ და მე 18 თვეა ერთად მოვდივართ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ალექს ფერგიუსონი კი 12 თუ 13 წელიწადია და ხომ ხედავთ, მან ახლაღა შეძლო სასურველი შემადგენლობის შეკრება. თუმცა ერთი გუნდის მეორესთან შედარება ფეხბურთელთა ბირთვითაც არის საჭირო. მანჩესტერელებს ბექემი, ნევილები და გიგზი ჰყავთ, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია დაახლოებით მონათესავე ბირთვით დავიკვეხნოთ.

**— კრიტიკოსები ამბობენ, რომ დღევანდელ ინგლისურ ფეხბურთში ძალიან ბევრი უცხოელია. ეთანხმებით?**

— ნებისმიერ გუნდს საფუძველი ადგილობრივმა მოთამაშეებმა უნდა შეუქმნან, დანარჩენები კი შეიძლება მათ დაამატო. „ლიდსში“ ამ პრინციპით ვმუშაობთ.

**— თქვენამდე „ლიდსის“ თავკაცი ჯორჯ გრემი, თავის დროზე, ლონდონში გადაბარგებასა და „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ მუშაობის დაწყებას გთავაზობდათ. რამდენად სერიოზული იყო ეს წინადადება?**

— ჯორჯმა მართლაც მთხოვა მასთან მუშაობა, მაგრამ ვუპასუხე, რომ „ლიდსს“ ვერ ვუღალატებდი. ვგონებ, სინამდვილეში არც გახლდათ „სპურზისთვის“ ყველაზე სასურველი და ერთადერთი კანდიდატი. ხომ გახსოვთ, მათ მარტინ ონილსაც მიმართეს, მაგრამ ვერც მისი გადაბირება შეძლეს. ჩემთვის მთავარი აი, რა გახლავთ: მინდა ხალხმა დაინახოს, რომ კარგად და სწორედ ვმუშაობ, მერე კი, როდესაც მომხსნიან — და ეს აუცილებლად მოხდება — იმას მაინც ვერავინ მეტყვის, გუნდისთვის გიღალატიაო. რაც უნდა მოხდეს, თავი ამაყად უნდა მეჭიროს. მე უდიდესი კლუბი, „არსენალი“ დავტოვე, მაგრამ იქ ნებისმიერ დღეს მიმესვლება და მსურს „ლიდსშიც“ ასევე იყოს.

**— ჯორჯ გრემის წასვლის შემდეგ, პირველ ხანებში, ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?**

— ფანებმა. დარწმუნებული გახლდით, რომ ისინი მეტყოდნენ შენი შეფი წავიდა და გიჯობს შენც უკან გაჰყვეო. სინამდვილეში კი მოხდა ის, რამაც ფეხბურთში მოღვაწეობის 25 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გამაოგნა, მათ ჩემი დარჩენა და მუშაობა ისურვეს. მაშინ გავიფიქრე, თუ ისინი სამსახურს მთავაზობენ, სიამოვნებით ვიმუშავებ-მეთქი.

**— სეზონის დასაწყისში იფიქრებდით, რომ თქვენი გუნდი თებერვალშიც ლიდერთა შორის იქნებოდა?**

— ჩემი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის მიმდინარე სეზონი მეორეა. წესით, მათ სწორედ ნაახალწლევს უნდა გასჭირვებოდათ და ვფიქრობდი, ამ სეზონსაც ბიჭების შეჯიბრებასთან შესაგუებლად გამოვიყენებ-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ გაითვალისწინეს ჩემი რჩევანი და სირთულეებს თავი გაართვეს. მართალი გითხრათ, არც ის მეგონა, რომ უეფას თასზე იმ გუნდების დამარცხებას შევძლებდით კენჭისყრამ რომ გვარგუნა. ხომ გახსოვთ, ევროპულ სარბიელთან შესაგუებლად „მანჩესტერ იუნაიტედს“ რამდენი ხანი დასჭირდა. ამ ფონზე ჩვენი პროგრესი განსაკუთრებით მიხარებს გულს. ვგონებ, საქმე ძალიან კარგად მიგვიდის. არ მეგონა, რომ პრემიერლიგის ცხრილში ერთხელ მაინც მოვხვდებოდით პირველ საფეხურზე, იქ დიდი ხნით გაჩერებაზე არაფერი რომ ვთქვათ. ეს ფანტასტიკური იყო.

**— გარდა კონკურენტებისა, რა ემუქრება ინგლისის ჩემპიონის ტიტულზე თქვენს გალაშქრებას?**

— წარმატებისთვის იღბალი გვჭირდება. მაგალითად, თუ ტრავმები გაგვიხშირდა ჩვენთვის ეს დიდი პრობლემა იქნება. „ლიდსს“ ხომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „არსენალის“ დარი შესაძლებლობანი არ აქვს ტრავმებით მიყენებულ ზარალს მაქსიმალურად რომ აუქციოს გვერდი. ამიტომ, ჩვენთვის ძირითადი შემადგენლობის საღად და შეუცვლელად შენახვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**— „ლიდსის“ დღევანდელ დაწინაურებაში რა როლი მიგიძღვით თქვენ და რა ჯორჯ გრემს?**

— ჯორჯმა აბსოლუტურად არეულ-დარეული გუნდი ჩაიბარა და პროგრესისკენ შემოატრიალა, მე კი იმ ფეხბურთელებთან განვაგრძე მუშაობა, რომლებიც თავად მივიყვანე გუნდში. თუ გრეგორის დროინდელ და დღევანდელ შემადგენლობებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამით ჯორჯისადმი უპატივცემულობას სულაც არ გამოვხატავ. მან დიდებული სამუშაო შეასრულა, ვინძლო გუნდი გავარდნისგან სწორედ მან იხსნა.

**— ამ სეზონში „ლიდსისთვის“ ყველაზე დიდი გამოცდა რა იყო?**

— იმდენი იყო, ჩამოთვლა გამიჭირდება. ბრწყინვალე გახლდათ ცხრილის სათავეში ადგილის შესანარჩუნებლად „ჩელსის“ დამარცხება, მაგრამ იცით, სულ, გამუდმებით რაღაც პრობლემა ჩნდება და მასზე პასუხის გაცემაა საჭირო, ამიტომ რომელიმეს გამოყოფა ძნელია.

**— ოდესმე „არსენალში“ მწვრთნელად დაბრუნებაზე რას იტყვით?**

— ეს იქნება მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი თანამდებობა და საქმე, თუმცა მე დღესაც დიდებულ ადგილზე ვმუშაობ. „არსენალში“ 20 წელიწადი მაქვს გატარებული და თუ ფეხბურთის შესახებ რამე ვიცი, ამ კლუბმა მასწავლა. იქ საუცხოო ხალხი მუშაობდა. საუცხოონი გახლდნენ ფანებიც. „ლიდსში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ, მაგრამ თუ „ლიდსი“ გამიშვებს და „არსენალი“ მიმიწვევს, თავს უბედნიერეს კაცად ჩავთვლი.

**— მომავალში ირლანდიის ნაკრების გაწვრთნაზე რაღას იტყოდით?**

— სიამოვნებით ჩავიბარებდი ეროვნულ გუნდს, მაგრამ 55 წლამდე არა. მე თუ მკითხავთ, სანაკრებო მწვრთნელობას კაცი მაშინ უნდა შეუდგეს, როდესაც საკლუბო დონეზე რისი მიღწევაც შეეძლო ყველაფერს მიაღწია. მე, მოგეხსენებათ, ჯერჯერობით, საკლუბო დონეზეც ძალიან ბევრი მაქვს საკეთებელი.

**— საკმარისი თანხა რომ გქონდეთ, რომელ ფეხბურთელებს შეიძენდით ხვალვე?**

— უამრავს. ვიყიდდი დევიდ ბექემს, როი კინს, პატრიკ ვიეირას, რონალდოსა და რივალდოს.

**— როდის უნდა ველოდოთ ჭაბუკ ლიდსელთა, მაკმასტერის, ევანსის, კნარვიკის, სინგის და ფინის ძირითად შემადგენლობაში გამოჩენას?**

— ამას მხოლოდ და მხოლოდ დრო გვიკარნახებს. ამ წუთას მათთვის ძირითადში თამაში ნაადრევია. მართალი გითხრათ, მთავარი როდის კი არ არის, საქმე ის გახლავთ, როგორ და შეძლებ ან თუ არა საერთოდ.

**— დარენ ჰაკერბი, დენი მილსი და მაიკლ დაბერი ძირითად შემადგენლობაში შიგადაშიგ გამოგყავთ, არადა მათში გვარიანი თანხაა გადახდილი. ხომ არ შიშობთ, რომ ისინი შეიძლება გაგექცნენ?**

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ, მეორე მხრივ, წარმატებულ გუნდებს ხომ ბევრი ფეხბურთელი ჰყავთ. როდესაც ეს ბიჭები ჩვენთან კონტრაქტს ხელს აწერდნენ, ამის შესახებ იცოდნენ. მნიშვნელოვანწილად, ბევრი რამ საკუთრივ მოთამაშეებზეა დამოკიდებული. მათ შეეძლოთ ისეთ კლუბებში გადასვლა, სადაც ძირითადში თამაში გარანტირებული ექნებოდათ, თუმცა ეს კლუბები უმაღლესი ადგილებისთვის მებრძოლთა შორის ვერასდროს მოხვდებიან. დღევანდელი მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი 25 ადამიანისთვის დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნაა. ცხადია, ეს ძნელი ამოცანა გახლავთ.

**— ხომ არ გწყდებათ გული გასულ ზაფხულს რობი კინისა და კირონ დაიერის შეძენა რომ ვერ შეძელით?**

— არა. ფული არ მქონდა. თანაც, ყველას ხომ ვერ ვიყიდი. „ლიდსის“ ახალწვეულებით ფრიად კმაყოფილი გახლავართ. 6 მილიონი გირვანქა კინისთვის ან დაიერისთვის ძალიან დიდი ფული ჩანდა.

**— ვუდგეიტის და ბოიერის თავგადასავალმა (მათ უცნობი სცემეს და სასჯელის წინაშე დგანან) გუნდი მეტად ხომ არ შეკრა?**

— არა. ჩვენ ისედაც შეკრულნი ვიყავით.

**365-დან თარგმნა პაპუნა ძიძიამ**

# ახალგაზრდა ბებერი



ჯიმ კურიე

**სან ხოსე. კალიფორნია. SYBASE OPEN დარბაზი. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

ჯიმ კურიე ჯერ 30 წლისაც არ არის, მაგრამ უკვე კარგა ხანია, ვეტერანად ითვლება. თითქოს საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც წითური ამერიკელი მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, მკვლელი ფორჰენდებით შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს და ზედიზედ იგებდა დიდი სლემის ტურნირებს.

„უცნაურია, როდესაც 29 წლის ასე ბებერი ხარ, თითქოს მთელი ცხოვრების გზა გავიარე. თამაშის დროს თავს მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ მეორე დილით უამრავი რამ მტკივა" — ამბობს კურიე, რომელიც ახლა კლასიფიკაციით 44-ეა და თითქმის ორი წელია, ტურნირიც კი არ მოუგია.

ამერიკელმა ვერც ახალი სეზონი დაიწყო ალმაფრენით: ავსტრალიის ღია პირველობაზე პირველივე წრეში დამარცხდა, მერე კი თბილისელთათვის ასე ნაცნობი სიდნეი 97-ის გრიპი შეეყარა და ორი კვირა ჩოგანსაც არ გაკარებია.

კურიემ ვარჯიში რამდენიმე დღის წინ გაანახლა და სან ხოსეს ტურნირზე პირველ წრეში გაუმართლა — გამოუცდელ თანამემამულე ერიკ ტაინოს შეხვდა.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ცაცია მეტოქე თავიდანვე დაჯაბნა და მხოლოდ მეორე სეტის ბოლოს გაუჭირდა, როდესაც 4:3-ზე საკუთარი მოწოდება დაკარგა. ტაინომ საჩუქარი ვერ შეიშნო და მომდევნო გეიმში რამდენჯერმე უკვე თავად შეცდა უწყინარ სიტუაციაში, რითაც ბებერი ჯიმი ზედმეტ ოფლის ღვრას გადაარჩინა — 6:3, 6:4.

„რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ როდესაც პირველი ჩოგანი ვიყავი, ყველას იოლად ვანადგურებდი. არა, ერთი ორჯერ მართლაც მქონდა გამარჯვების სერია, როდესაც რამდენიმე კვირის მანძილზე ქვას ქვაზე არ ვტოვებდი (ორიგინალში კურიემ მეტყველი, მაგრამ უთარგმნადი ინგლისური ფრაზა იხმარა, რომელიც უკანალისა და ცემის შეერთებით მიიღება), მაგრამ უმეტესად მატჩებში მნიშვნელოვან ქულებს ვიგებდი და პირველიც იმიტომ ვიყავი".

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელის თამაშს ახლაც შერჩენია ძველებური ხიბლი და იშვიათად რომელიმე ტურნირზე გაიბრწყინებს კიდეც, თავად „კლდე" ჯიმი ყველაფერს ირონიულად აფასებს: „ჩემი ფორმა სამხრეთ დაკოტასავითაა. იცი, რომ ნამდვილად არსებობს, მაგრამ ზუსტად სად არის, დარწმუნებული არასოდეს არ ხარ".

ამერიკელი უკვე შეურიგდა იმ ამბავს, რომ ანდრე აგასისგან განსხვავებით, საჩოგბურთო სამყაროს ელიტას ველარასოდეს დაუბრუნდება და ამას თავისებურად ხსნის. „კარიერის დასაწყისში ჩემთვის მხოლოდ ჩოგბურთი არსებობდა, ბევრს ვვარჯიშობდი, იშვიათად ვისვენებდი და მოგება ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. 22 წლისა სხვაზე არაფერზე ფიქრობ, მაგრამ ახლა ისე უკვე ველარ ვიარსებებ".

მართლაც, ბოლო ორი წელია, კურიე ძალიან შეიცვალა, თუმცა უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ, თავად განსაჯეთ. ამერიკელი, რომელიც ადრე სამაგალითო ქცევით გამოირჩეოდა, ახლა პირდაპირ კორტზე იგინება მოურიდებლად და მსაჯებსაც ხშირად ეკამათება; შარშან მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისას ვირის აბანოშიც მიაბრძანეს; სამაგიეროდ, მონოტონური პასუხების ნაცვლად საიდანღაც იუმორის გრძნობა გაუჩნდა და პრესკონფერენციაზე საჩოთირო თემებსაც არ არიდებს თავს.

რაკილა ტრავმების გამო ტურნირმა ზედ დაწყების წინ პირველი და მესამე განთესილები — ანდრე აგასი და ვინს სპედეა დაკარგა, კურიეს შესანიშნავი შანსი ეძლევა, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ერთი ტიტულიც შეიმატოს: „აქ ისეთი არავინაა, ვისთან შებრძოლებაც არ შემიძლია, მაგრამ გავიმარჯვებ? ამის გასარკვევად ხალხმა ბილეთების ყიდვა უნდა გააგრძელოს".

პირველი წრე: **მარკ ფილიპუსისი** (2, ავსტრალია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:6 (10:8), 4:6, 7:6 (7:3); **მაიკლ ჩანგი** (4, აშშ) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 7:5, 6:4; **მიკაელ ტილსტრომი** (შვედეთი) — ფრანკო სკილარი (6, არგენტინა) 7:5, 7:5; **უეინ ფერერა** (7, სამხრეთ აფრიკა) — ჯეფ ზალცენშტაინი (აშშ) 6:4, 6:4; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ჟან მაიკლ გემბილი (8, აშშ) 7:6 (7:2), 6:2; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:2, 6:3.

**დუბაის ღია პირველობა. არაბთა გაერთიანებული საემიროები. ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

დუბაის ღია პირველობის ორგანიზატორები წყენას იოლად არ ივიწყებენ.

შარშან კიკინიანმა ფრანგმა ჟერომ გოლმარმა ქარიშხალივით გადაუარა პრესტიჟულ ტურნირს, ერთი-მეორის მიყოლებით მასპინძლებს სულ დარჩეული სტუმრები — კარლოს მოია, ტიმ ჰენმანი, ნიკოლას კიფერი გაუყარა და ჩემპიონიც გახდა.

წესით და რიგით, ფრანგს წლეულს პატივით დახვედრა და მეფური მასპინძლობა ეკუთვნოდა, მაგრამ პირველი წრის შეხვედრაში არაბებმა მას 5000 კაციან თანამედროვე ცენტრალურ კორტზე კი არა, იშვიათად გამოყენებად პირველ კორტზე მიუჩინეს ადგილი.

რა თქმა უნდა, შარშანდელ ჩემპიონს ასე არ უნდა ეპყრობოდნენ, მაგრამ ეგ კიდევ არაფერია: იმის საზღაურად, რომ დევისის თასზე გადაღლილა და უმძიმესი ტრავმის გადატანის მიუხედავად გოლმარი მაინც ესტუმრა დუბაის (არადა შინ, მარსელში, ამ კვირაში კიდევ ერთი ტურნირია), მერვედფინალისთვის ის სულაც მე-3 კორტზე გაამწესეს, რომელსაც მხოლოდ ერთი ტრიბუნა აქვს და მეზობელი სავარჯიშო კორტიდან გამჭვირვალე ბადე ჰყოფს.

არ გეგონოთ, რომ გულღია ფრანგი განაწყენდა. პირველ წრეში შეცდომებით სავსე, ზედიზედ რვაჯერ მოწოდების ართმევით გამორჩეულ შეხვედრაში ვეტერანი ესპანელის, ფრანსისკო კლავეტის 6:4, 4:6, 6:1 დამარცხებამ ის პირიქით, მშვენიერ ხასიათზე დააყენა: „ამჟამად იმითაც ბედნიერი ვარ, რომ სადმე მაინც ვთამაშობ. შარშან ერთი პირობა მეშინოდა, რომ ველარასოდეს ვიასპარეზებდი".

1999-ის პირველ ოთხ თვეში გოლმარმა საუკეთესო ათეულში შესაღწევად მოიმზადა ნიადაგი, მაგრამ მერე მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, ოპერაცია გადაიტანა და სეზონის ორი მესამედის მანძილზე ჩოგანსაც აღარ გაჰკარებია.

გასულ უქმეებზე ბენდენის ტარების მოყვარული ფრანგი დევისის თასზე ასპარეზობდა ბრაზილიაში, ამიტომ დუბაიში ჩასაფრენად ნახევარი მსოფლიოს გადასერვა მოუხდა: „ძალიან გამიკვირდა, ნაკრებში რომ მიმიწვიეს. ეს რომ მცოდნოდა, ალბათ, იქ აღარც ჩამოვიდოდი, რადგან მოგზაურობამ გამასავათა. დღეს როგორღაც ენერგია მეყო სათამაშოდ. ძალიან მინდა, აქ ისევ წარმატებულად გამოვიდე".

სამაგიეროდ, ნაადრევად დაასრულა ასპარეზობა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტმა მაგნუს ნორმანმა (2). მაროკოელ ქარიმ ალამისთან შეხვედრაში სტაბილურმა შვედმა უჩვეულო დ ბევრი შეცდომა დაუშვა, ცოტა ბურთის სიმძიმესა და ნელ პირობებზე დაიჩივლა და 6:7 (6:8), 5:7 წააგო.

პირველი წრე: **ნიკოლას კიფერი** (1, გერმანია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:1, 2:6, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (3, ეკვადორი) — ოლივერ გროსი (გერმანია) 6:3, 6:2; **ალბერტ კოსტა** (4, ესპანეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:4, 7:5; **ფელიქს მანტია** (6, ესპანეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6 (8:6), 6:2; **ჰიშამ არაზი** (7, მაროკო) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 6:3; **იუნეს ელ აინაუი** (5, მაროკო) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:3, 6:3.

**მარსელის ღია პირველობა. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 550 ათასი $**

პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 1:6, 6:4, 6:4; ტომას ენკვისტი (2, შვედეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:5, 5:7, 6:1; იან კროსლაკი (სლოვაკეთი) — დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) 7:6 (9:7), 6:4; სებასტიან გროსჟანი (4, საფრანგეთი) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:1; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — მარატ საფინი (5, რუსეთი) 6:3, 6:3; ფაბრის სანტორო (6, საფრანგეთი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 7:5, 6:2; ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — ჯორჯ ბასტლი (შვეიცარია) 6:0, 7:6 (7:3).

**ავთანდილ სვანიძე**



მაგნუს ნორმანი



# მოჩქარე ბეილის ძალიან მოუგვიანდა

**კანადელი** დონოვან ბეილი ბოლო ორი წელია, ბევრს ნერვიულობს. აქამდე კარგად ჰქონდა ცხოვრება აწყობილი, მუხლი ერჩოდა, ფილტვები ერთგულად ემსახურებოდნენ და ისიც დარბოდა გეპარდივით, თავსაც ლაღად გრძნობდა და ფულსაც ხომ რიგიანად უხდიდნენ, ისე როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მძლეოსანს შეეფერება. შემდეგ კი იყო ფერები მუქი — ერთი ტრავმა, მეორე... უკვე ორი წელია, ბეილის ნაკლებად ახსენებენ მორბენალთა ელიტაში და ისიც გამწარებული, საწინააღმდეგოს დამტკიცებას ლამობს, მაგრამ არ უმართლებს და არა... თუნდაც გუშინწინ მომხდარი კაზუსი ავიღოთ. ათენში მიმდინარე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) ტურნირზე ბეილი 100-მეტრიანი დისტანციის სტარტზე დადგა და როცა გაქცევის ნებადამრთველი გასროლა გაისმა, მას უკვე ათიოდე მეტრი ჰქონდა გარბენილი. ბეილიმ მსაჯის დატუქსვა ერთ ყურში კი შეუშვა, მაგრამ ეტყობა, მეორედან გამოუშვა, რადგან როცა პისტოლეტმა ერთხელაც იჭექა, კანადელი მსაჯებმა იმავე დანაშაულზე დაიჭირეს. ასე არ უნდაო და კანონიერების დამცველებმა ბეილი სულაც ბილიკებიდან გააძევეს, რაზეც ამ უკანასკნელმა ერთხანს იდუდღუნა, ხოლო შემდეგ არ დაელოდა გარბენის დაწყებას და გულადუღებულმა გასახდელებს მიაშურა. საწყალი ბეილი!...

# ბრიტანეთს რიჩარდსონის სჯერა

**მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) დოპინგ-კომიტეტი განაგრძობს ნადირობას იმ მძლეოსნებზე, რომელთაც წარმატებების მიღწევა არაპატიოსანი მეთოდებით განუზრახავთ. ცოტა ხნის წინ, ბადეში კიდევ ერთი ქებული მძლეოსანი გაება. ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და საერთოდ 400 მეტრზე რბენაში ევროპის ყველაზე წარჩინებულ ათლეტად მიჩნეული, ბრიტანელი მარკ რიჩარდსონი გახდა მეოთხე კაცი თავისი ქვეყნიდან, რომელსაც აკრძალული პრეპარატის — ნანდროლონის გამოყენებას უმტკიცებენ. ახტა და დახტა რიჩარდსონი, ფარსია ეს ყველაფერიო და ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაცია დააჯერა კიდეც თავის უმანკოებაში, ისევე როგორც სამმა ადრინდელმა ბრალდებულმა — ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლინფორდ კრისტიმ, ევროპის ჩემპიონმა დუგ უოლქერმა და თარჯრბენის აღიარებულმა ოსტატმა გერი კადოგანმა. ბრიტანული მძლეოსნობის პატრიოტმა მამებმა რიჩარდსონის სიმართლე უფრო იმიტომ ირწმუნეს, რომ სპორტსმენის განცხადებით, მას არ ეშინია და მზადაა, თუნდაც სიცრუის დეტექტორის წინაშე წარდგეს ჩვენებით. ერთი სიტყვით, ბრიტანელებმა თვისტომნი გაამართლეს და ახლა ალბიონური მძლეოსნობის შეფი, დევიდ მურკროფტი მონაკოში იმყოფება, რათა IAAF-ის პრეზიდენტი ლამინ დიაკიც დააჯეროს იმაში, რომ შეუძლებელია, ნანდროლონის მუხლით დასჯილი 343 მძლეოსნიდან ყველა ტყუოდეს. „ეტყობა, თავად დოპინგ-ტესტების სისტემაა არასრულყოფილი და დახვეწას მოითხოვს" — მიაჩნია მურკროფტს და იქნებ მართალიც იყოს.

**დავით გულუა**



# ყმაწვილმა კომპიუტერმა უფროსები გააფუჭა

**სულ** უფრო მწვავდება ბოლო ოცწლეულში უკვე მოდად ქცეული დაპირისპირება ადამიანებსა და კომპიუტერებს შორის. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საჭადრაკო სფერო გახლავთ, სადაც მთელი ამ ხნის მანძილზე შემდეგი უცვლელი ტენდენცია შეინიშნება: კომპიუტერებს ძალა ემატებათ და თუმცა ადამიანის ტვინის საჭადრაკო შესაძლებლობებიც უეჭველად პროგრესს განიცდის, ზრდის ტემპებში განსხვავება აშკარაა. კომპიუტერს გააჩნია ერთი უდავო უპირატესობა, რაც მისი ფიზიკური რესურსების ფაქტობრივად განუსაზღვრელ მასშტაბებში გამოიხატება. როგორც ერთხელ ვიში ანანდმა საკმაოდ მართებულად შენიშნა, ადამიანისა და კომპიუტერის თამაში ნამდვილი უსამართლობაა. კომპიუტერს შეიძლება ჩაუდგა ნებისმიერი ოდენობის მეხსიერება, მეცნიერების მეოხებით გაუათმაგო სისწრაფე და ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ იგი მსოფლიოს ჩემპიონსაც მოერევა, რომელსაც არც მეხსიერებას უმატებს ვინმე და ვერც აზროვნების სიჩქარეს მატებს. ასეა თუ ისე, დღეს კომპიუტერები და ჭადრაკი ერთმანეთში შეზრდილ ტერმინებად იქცნენ. ამასთან კომპიუტერები არა მარტო ადამიანებს ერკინებიან, არამედ ერთმანეთსაც უსინჯავენ ძალას. კომპიუტერული საჭადრაკო პროგრამების მსოფლიოს ჩემპიონატების გარდა, მრავალი ტურნირიც იმართება და მათ შორისაა კადაკესის ტურნირი, რომელსაც კომპიუტერული ჭადრაკის „ლინარესადაც" მოიხსენიებენ. ამ მყუდრო ესპანურ ქალაქში პროფესორი ენრიკე ირასოკი ყოველ წელს მასპინძლობს საჭადრაკო პროგრამებს და რეფერის როლშიც თავად გამოდის. 3 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით ირასოკმა წლეულსაც არ უღალატა ტრადიციას და მსოფლიოს 7 უძლიერესი საჭადრაკო პროგრამა დაატაკა ერთმანეთს. მონაწილეთაგან მკითხველს შეიძლება დავუსახელოთ თუნდაც „ფრიცნა", რომელმაც შარშან ფრანკფურტის B კატეგორიის ტურნირი დიდი უპირატესობით მოიგო და დიდოსტატებიც კი მოიტოვა უკან. მასთან ერთად ფავორიტებად ითვლებოდნენ ცნობილი პროგრამები — „რებელ ტაიგერი" და „შრედერ-4", მაგრამ კადაკესში ფავორიტები არაფავორიტმა გააწბილა. საუბარია ამირ ბანისა და შეი ბუშინსკის პროგრამაზე „ჯუნიორ 6", რომელმაც, ყველასგან მოულოდნელად გაიმარჯვა. პროგრამებს სათამაშოდ საკმაოდ კარგი ინსტრუმენტები მიეცათ. მათ განკარგულებაში იყო დღევანდელი სტანდარტებით ელიტარული კომპიუტერები PENTYUM III, 500 მეგაჰერცი ტაქტური სიხშირითა და 250 მეგაბაიტი ოპერატიული მეხსიერებით. თითოეულ პროგრამას ყოველ მეტოქესთან 20 პარტია უნდა ეთამაშა და რეგლამენტით 40 სვლის გასაკეთებლად ამდენივე წუთი ჰქონდა გამოყოფილი. „ჯუნიორ 6"-მა გამარჯვებებით დაიწყო და ბოლოშიც ისე გავიდა, ერთი მიკრომატჩი არ წაუგია. მან დაამარცხა სამივე ფავორიტი, 120 შესაძლებლიდან 73 ქულა დააგროვა და ტურნირი მოიგო. სამარცხვინოდ არც სხვა პროგრამებს უთამაშიათ, მათი საბოლოო მაჩვენებლები ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს განლაგდნენ, რაც ცხადყოფს, რომ კომპიუტერული საჭადრაკო პროგრამების სამყაროში მძაფრი კონკურენცია მეფობს და კასპაროვივით გამოკვეთილი ჩემპიონი მათ დღეს არა ჰყავთ.

**დავით გულუა**

**ტურნირის საბოლოო შედეგები**

| | |
|---|---|
| 1 ჯუნიორ 6 | 73 |
| 2 ფრიც 6ა | 69 |
| 3 ნიმცო 7.32 | 64,5 |
| 4 რებელ ტაიგერი | 61 |
| 5 ჰიარკსი | 57 |
| 6 შრედერ 4 | 55 |
| 7 რებელ სენჩერი | 40,5 |

# რიშარ ვირანკი: ფესტინას საქმე ძილს აღარ მიფრთხობს

*30 წლის ფრანგ ველომრბოლ რიშარ ვირანკს, სპორტის ამ სახეობის მოყვარულები, ალბათ, კარგად იცნობენ. იგი ველომრბოლთა უმთავრეს შეჯიბრ „ტურ დე ფრანსზე“ ხუთჯერ გამხდარა „მთის მეფე“ და სხვა ტიტულებიც ბლომად მოუხვეჭია. გარდა ამისა, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია დოპინგ-სკანდალისა, რომელიც 1998 წლის „ტურის“ დროს დაიწყო და ახლაც გრძელდება. ვირანკი დღეს თავის მეათე პროფესიულ სეზონს იწყებს „ხმელთაშუა ზღვის ტურით“ და აცხადებს, რომ „ფესტინას საქმის“ სასამართლო პროცესი, რომელიც ამ ზაფხულში გაიმართება, სულაც არ აშინებს. გთავაზობთ ვირანკთან ინტერვიუს, რომელიც ფრანგულ „ლე პარიზიენში“ გამოქვეყნდა:*

**— შარშანდელი ზამთარი თქვენთვის ძალიან დაძაბული იყო, წლეულს როგორ მიდის საქმე?**

— ეს ზამთარი ძალიან კარგად და ბედნიერად გავატარე. სეზონი ჩემთვის ვერონაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დამთავრდა (ოქტომბრის ბოლო) და ველოსიპედს მხოლოდ დეკემბრის მეორე ნახევარში მივუბრუნდი. ოჯახთან ყოფნამ ძალიან დადებითად იმოქმედა ჩემზე, გაცილებით მშვიდად და წყნარად ვხვდები ამ სეზონს, ვიდრე შარშანდელს. თანაც 19 იანვარს ვაჟიშვილი დარიო შემეძინა. ჩემს გოგონას, კლარას ძალიან უნდოდა ძმა ჰყოლოდა და ახლა თავს ლაღად გრძნობს. მეც მამათა შორის უბედნიერესი ვარ.

**— როგორ მოემზადეთ ახალი სეზონისთვის?**

— ჩემს იტალიურ გუნდ „პოლტისთან“ ერთად ორი შეკრება გავიარე. თანაგუნდელებზე ცოტა კი ვივარჯიშე, ასე ვარ შეჩვეული. ფორმას გაზაფხულობით ვიბრუნებ ხოლმე. გუნდი ჩემს გარშემო შეიკრა. თუ ესპანელების ურიას და კლაველოს „პოლტიში“ გადმოსვლის შესახებ ადრეც ვიცოდი, პასკალ ერვეს მოსვლა ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა. ახლები გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებენ. ისე, ძალიან მიხარია, რომ პასკალი ისევ დამეხმარება, როგორც ადრე „ფესტინაში“.

**— „ხმელთაშუა ზღვის ტურზე“ რისი იმედი გაქვთ?**

— ბევრს ჰგონია, რომ ამ ტურს მოვიგებ, რადგან თითქმის შინ ვასპარეზობ (ვირანკი ვარის დეპარტამენტიდანაა, რომლის მთავარი ქალაქი ტულონიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე


რიშარ ვირანკი

მდებარეობს). თუმცა აქ კარგად გამოსვლა საკმაოდ გამიძნელდება. ჩემი მიზნები ცოტა უფრო შორეულია.

**— მაინც რა მიზნები გაქვთ?**

— მინდა, „ტურ დე ფრანსისთვის“ საუკეთესო ფორმაში ვიყო. მე ამ ტურნირში წლეულს მხოლოდ საბოლოო გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ! აგვისტოში რამდენიმე კლასიკური რბოლის მოგებასაც ვგეგმავ. „ვუელტაშიც“ სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას და ვფიქრობ, მშვენივრად მოვემზადები სეზონის დასასრულისთვის. ვოცნებობ, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებსა და საფრანგეთის ქალაქ პლუეიში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში წარმატებას მივაღწიო.

**— ესე იგი, ეროვნული ნაკრებიდან ორი წლით მოკვეთის შემდეგ საფრანგეთის უმთავრეს გუნდში დაბრუნება გადაგიწყვეტიათ...**

— ეს, რა თქმა უნდა, ჩემი გადასაწყვეტი არაა. თუმცა ყველას გასაგონად ვიტყვი, რომ ზოგიერთების მსგავსად არასოდეს მითქვამს უარი ეროვნულ ნაკრებში მიწვევაზე. ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ ლურჯ-თეთრ-წითელ მაისურას. ოთხი წლის წინ ატლანტის ოლიმპიადაზე არცთუ ცუდად ვიასპარეზე (მე-5 ადგილი). ნებისმიერი სპორტსმენისთვის უდიდესი პატივია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაც კი.

**— რას ფიქრობთ „ტურ დე ფრანსის“ სხვა ფავორიტებზე — არმსტრონგზე, პანტანიზე, ულრიხსა და ვანდენბრუკზე?**

— უბრალოდ, ვისურვებდი, რომ ყველას მიეღო „ტურში“ მონაწილეობა. მართლაც ძალიან მინდა, რომ ყველა უძლიერესმა მრბოლმა მოიყაროს აქ თავი. რამდენიმე ეტაპს თუ არ ჩავთვლი, მარშრუტი საჩემო არ არის, მთები არაა, მაგრამ არა უშავს — პელოტონის მოწინავეებში ვიქნები და სპრინტერულ ეტაპებზეც არაფერს დავთმობ.

**— მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ უცნობია, წლეულს „ფესტინას საქმის“ სასამართლო პროცესიც დაიწყება. საინტერესოა თქვენი აზრი ამის შესახებ.**

— ამ საქმეზე ფიქრი სრულიადაც აღარ მიფრთხობს ძილს. მხოლოდ ჩემი ბიჭის ტირილი მიტეხს ღამეებს.

**— როგორ შეხვდით ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ მრბოლთა მუდმივი დოპინგ-კონტროლის და სამედიცინო შემოწმების დანერგვას?**

— ასეთი რამ საფრანგეთში უკვე ერთი წელია მოქმედებს და მეც მუდმივ კონტროლზე ვარ. ველოსპორტმა თითქოს აღიდგინა შელახული რეპუტაცია, მაგრამ მას გაფრთხილება უნდა. იქნებ ქარიშხლის შემდეგ კიდევ ამოვარდეს ქარიშხალი.

**„ლე პარიზიენიდან“ თარგმნა**
**გაგი გურულმა**

# რუსეთს ყური აუწიეს — 250 000 $ ველოსიპედით გაიტაცეს

ამის დროა ახლა?! სიდნეის ოლიმპიადამდე წელიწადის ერთადერთი დრო დარჩა, კარგად ნავარჯიშევი რუსეთის ველოსიპედისტთა ნაკრებიც მწვანე კონტინენტიდან 4-5 მედლის წამოღებას გეგმავს, ამ დროს კი ირკვევა, რომ რუსეთი უკვე აღარაა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCY) წევრი, ხოლო UCY-ის წესდების 18.1 მუხლი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ მსგავს შემთხვევებში ქვეყანას ეკრძალება საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის, ოლიმპიადაზეც გამოსვლა. როგორც გაირკვა, ძაღლის თავი იმ 250 000 დოლარში მარხია, რომელიც რუსეთის ველოსპორტის ფედერაციამ აწდაშლილ „როსლოტოს“ წაღლიტა და აღარ უბრუნებს. ველოსპორტის საერთაშორისო მამებს მკაცრად მოუთხოვიათ რუსთაგან ამ კაზუსის აღმოფხვა, მაგრამ როცა შეგონებებმა ვერ გაჭრა, მათრახი მოიხმარეს. ველორუსეთი უაღრესად შეშფოთებულია. რუსეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ანდრეი ზახაროვმა საქმეში თვით ხუან ანტონიო სამარანჩი ჩარია, რომელსაც დღეს მოსკოვში შეხვდება და როგორც ფიქრობენ, მტკივნეული საკითხი მალე მოგვარდება.

**დავით გულუა**

**მალიორკას ტური**

მეოთხე ეტაპი.სოლერი, 157,9 კმ

1 პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 4.9,16 სთ
2 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 ჯუზეპე დი გრანდე (იტალია, ფესტინა)
4 ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, მაპეი)
5 ერკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)

საერთო ჩათვლა

1 ფრანცისკო კაბელო (ესპანეთი, კელმე) — 13.34,17 სთ
2 პედრო ორილიო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +15 წმ
3 ერიკ ზაბელი — +17
4 რუბენ გალვანი (ესპანეთი, კელმე) — +17
5 ხოსე ლუის რემელო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +17



# ფავორიტები მიკა და მაკი

**მაკლარენ-მერსედესი**

McLaren

დაარსდა 1963 წელს
გენერალური დირექტორი: რონ დენისი
ტექნიკური დირექტორი: ედრიან ნიუი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1966, მონაკოს დიდი პრიზი
პირველი გამარჯვება: 1968, ბელგიის დიდი პრიზი, ბრიუს მაკლარენი
მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის: 1974, 1984, 1985, 1988, 1989, 1990, 1991, 1998
მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში: 1974 (ემერსონ ფიტიპალდი), 1976 (ჯეიმს ჰანტი), 1984 (ნიკი ლაუდა), 1985, 1986, 1989 (ალენ პროსტი), 1988, 1990, 1991 (აირტონ სენა), 1998, 1999 (მიკა ჰაკინენი)
492 რბოლა, 123 გამარჯვება, 103 პოული, 89 სწრაფი წრე, 2427,5 ქულა
1999 — მე-2 ადგილი, 124 ქულა
შასი მაკლარენ MP 4-15
ძრავი მერსედეს V-10


**მიკა ჰაკინენი**

ფინეთი
დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკში
სიმაღლე: 179 სმ, წონა 70 კგ
ჰყავს მეუღლე ერია
ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი (ლოტუსი)
პირველი გამარჯვება: 1997, ევროპის დიდი პრიზი (მაკლარენი)
1998-99 ჩემპიონი (მაკლარენი)
128 რბოლა, 14 გამარჯვება, 21 პოული, 13 სწრაფი წრე, 294 ქულა
1999 წელს დაიკავა პირველ ადგილი, 76 ქულა
ასპარეზობდა: ლოტუსი — 1991-92, მაკლარენი — 1993-99


**დევიდ კულჰარდი**

ბრიტანეთი
დაიბადა 1971 წლის 27 მარტს ტვინშოლმში (შოტლანდია)
სიმაღლე 182 სმ, წონა 75 კგ
უცოლო, ჰყავს მეგობარი გოგონა ჰაიდი
ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ესპანეთის დიდი პრიზი (უილიამსი)
პირველი გამარჯვება: 1995, პორტუგალიის დიდი პრიზი (უილიამსი)
90 რბოლა, 6 გამარჯვება, 8 პოული, 11 სწრაფი წრე, 221 ქულა
1999 წელს დაიკავა მე-4 ადგილი, 48 ქულა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ბოლო წლების ფავორიტმა „მაკლარენმა“, წლეულს თავისთვის უჩვეულოდ, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე წარმოადგინა ახალი ბოლიდი — „მაკლარენ-მერსედეს MP4-15“. ეტყობა, „ვერცხლისფერებმა“ გაითვალისწინეს შარშანდელი შეცდომა — გასულ წელს გუნდი გააწამა ტექნიკურმა პრობლემებმა, რასაც გუნდურ პირველობაში ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა მოჰყვა. წლეულს კი გუნდს იმედი აქვს, რომ პირველ სტარტამდე მოახერხებს ბოლიდის გამართვას.

ახალ ბოლიდში მრავალი დეტალია გაუმჯობესებული. დაიხვეწა აეროდინამიკა (გუნდის ტექნიკური დირექტორი ნიუი ხომ ამ საქმის დიდოსტატი გახლავთ). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰიდრავლიკასა და გადაცემათა კოლოფს (სწორედ ეს ორი აგრეგატი გახლდათ შარშანდელი მოდელის ყველაზე სუსტი წერტილი), შეიცვალა გამობოლქვის სისტემაც. ყველა სიახლე ჯერ ძველ მანქანაზე გამოიცადა და მხოლოდ ამის შემდეგ დამონტაჟდა ახალზე. ახალია ძრავიც, რომელიც უფრო მსუბუქი და კომპაქტურია.

გუნდმა შეინარჩუნა პილოტთა ტანდემი, რომელიც საუკეთესო გახლავთ ფორმულა 1-ში. მათ გვერდით კი ტესტ-პილოტად ოლივიე პანი იმუშავებს.

მიკა ჰაკინენს იმედი აქვს, რომ წლევანდელი მოდელი უფრო იოლი სამართავი იქნება და მასაც არ გაუჭირდება, ჩემპიონის ტიტულის მესამედ მოპოვება.

ამბიციებს არც კულჰარდი მალავს და იმედოვნებს, რომ შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ წლეულს მაინც გაახარებს გულშემატკივარს.

იმედიანადაა რონ დენისიც. მისი თქმით, 2000 წელს მიკა და დევიდი უეჭველად მოუტანენ გუნდს წარმატებებს.

„მაკლარენმა“ პირველი ტესტები უკვე ჩაატარა. მართალია, მცირეოდენი ტექნიკური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მისი პილოტები მაინც ჩაუდგნენ სათავეში მოვარჯიშეებს. ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ალბათ, ფავორიტები მოახერხებენ, საუკეთესოდ მოამზადონ ბოლიდი.

**ალეკო ტაბუკიანი**



„მაკლარენის“ ტრიო: დევიდ კულჰარდი, ოლივიე პანი და მიკა ჰაკინენი

# სიხარულიძის ოქრო რუსებს
## რუსების მე-17 ქართველებს

REUTERS ვენიდან



ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერეჟნაია

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველმა ანტონ სიხარულიძემ, ელენა ბერეჟნაიასთან ერთად სპორტულ წყვილებში ოქროს მედალი ირგუნა. ხოლო საქართველოს დროშას შეფარებულმა რუსმა ალექსანდრ ჩისნიხმა და უკრაინელმა ევგენია ფილონენკომ მხოლოდ მე-17 ადგილი დაიკავეს. ჩვენს წერილში ძირითადად პირველ წყვილზე მოგითხრობთ.

სიხარულიძესა და ბერეჟნაიას დიდი ავტორიტეტი აქვთ მსოფლიოში. მათი სამწლიანი თანამშრომლობის შედეგებიდან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობას, აგრეთვე ოლიმპიურ ვერცხლის მედალს გამოვყოფთ. ფიგურისტები ამერიკაში, ნიუ ჯერსის შტატში ვარჯიშობდნენ და ნაწილობრივ ესეც იქცა წყვილის ბოლოდროინდელი კრიზისის საბაბად. აღმოჩნდა, რომ ბერეჟნაია სამშობლოზე ნოსტალგიამ შეაწუხა, ამას სიხაურლიძის ავტოსაგზაო შემთხვევაც დაემატა და წლევანდელი სეზონი კინაღამ ჩავარდა. ვენაში ევროპის ჩემპიონატის მეორედ მოგებამ, როგორც იქნა, ბოლო მიუღო კრიზისს და მათაც გასცა პასუხი, ვინც ფიქრობდა, რომ წყვილის პირად ურთიერთობებსაც წყალი ჰქონდა შემდგარი. ავსტრიის დედაქალაქში ბერეჟნაიამ და სიხარულიძემ ჩაიკოვსკის დიდებულ მუსიკაზე მეტად ჰარმონიულად იცეკვ-ისრიალეს, რასაც ერთმანეთზე აღრენილი ადამიანები ძნელად თუ შეძლებენ. ევროპული ვერცხლი ასევე სახელიანმა რუსულმა დუეტმა დაიმსახურა, მარია პეტროვასა და ალექსეი ტიხონოვის შემადგენლობით, ხოლო მესამენი პოლონელები იყვნენ: დოროთა ზაგორსკა და მარიუშ ზუდეგი წინმავალებს გვარიანად ჩამორჩნენ. სტატუს-ქვო უცვლელი დარჩა, ფიგურულ სრიალში რუსებს ტოლი არ ჰყავთ და ახლო ხანებში ალბათ არც ეყოლებათ.

დავით გულუა





REUTERS სანქტა კატარინადან

იზოლდე კოსტნერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზე ჩადიოდა, იზოლდე ამოდიოდა

იტალიელი იზოლდე კოსტნერი ერთხანს ზურგს იტკიებდა და ამიტომ სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის ბოლო ორ ეტაპზე ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა. ის ეტაპი, რომელზეც ახლა გიამბობთ, ცოტა ადრე უნდა გამართულიყო, მაგრამ 23 იანვრიდან იტალიის მთებში მზე მეტად მოღონიერდა და იქაურობა კინაღამ თოვლის გარეშე დატოვა. შემდეგ, საბედნიეროდ, მოთოვა, ანუ, მოთხილამურეებისთვის გამოიდარა და გუშინ სანქტა კატარინაში დაგეგმილი სწრაფდაშვების ეტაპიც გაიმართა. კოსტნერს საერთოდ ეხერხება შინაურ ტრასებზე სრიალი, 9 გამარჯვებიდან 5 სწორედ იტალიაში მოუპოვებია და ამჯერადაც გაახარა თავისი გულშემატკივრები — 2 391 მეტრი 1 წუთსა და 25,85 წამში ჩაიქროლა და თუმც მხოლოდ წამის ორი მეასედით, მაგრამ მაინც აჯობა გერმანელ რეგინა ჰეუსლს. მესამე შვეიცარიელი კორინე რეი ბალეტი იყო (1.25,90), „მინდოდა დამემტკიცებინა, რომ კვლავ შემიძლია გამარჯვება და მე ეს იტალიაში გავაკეთე“ — ამაყად უთხრა კოსტნერმა ჟურნალისტებს, რომლებიც სუპერგიგანტში მსოფლიოს 1996 და 97 წლების ჩემპიონს ბუზებივით ეხვეოდნენ. სანქტაკატარინულმა წარმატებამ კოსტნერი საერთო ჩათვლაშიც გვარიანად წასწია წინ, ოღონდ სამეულში მაინც ვერ მოხდა. ამისთვის ალბათ ცოტა გარჯა კიდევ მოუწევს.

დავით გულუა

**საერთო ჩათვლა**

1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 802
2 რენატა გოეტჩლი (ავსტრია) — 742
3 რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 633
4 იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 632
5 მარტინა ერტლი (გერმანია) — 490



# „ქალიშვილმა“ ლემიემ და მისმა „დაქალებმა“ რეინჯერებს თავბედი აწყევლინეს

9 თებერვალი

**ტორონტო — ფილადელფია 2:4**

0:2 1:1 1:1

0:1 ლინდროსი 16'02 (21); 0:2 განი 19'59 (11); 1:2 ხრისტიჩი 32'06 (10); 1:3 რეკი 32'41 (20); 2:3 სუნდინი 48'34 (26); 2:4 ლინდროსი 58'14 (22)

**ფლორიდა — სან ხოსე 4:1**

2:0 1:0 1:1

1:0 შეპარდი 4'26 (4); 2:0 ურელი 14'25 (1); 3:0 შეპარდი 36'26 (5); 3:1 ფრიზენი 40'46 (20); 4:1 სტიუარტი 43'54 (7)

**ნიუ ჯერსი — რეინჯერსი 4:1**

1:1 2:0 1:0

0:1 კამენსკი 12'27 (7); 1:1 ჰოლიკი 17'08 (19); 2:1 რაფალსკი 25'50 (2); 3:1 ნიდერმაიერი 27'27 (5); 4:1 ელიაში 59'09 (23)

**პიტსბურგი — ატლანტა 5:2**

0:2 1:0 4:0

0:1 ლამბერტი 2'00 (5); 0:2 სტეიოსი 14'15 (2); 1:2 სტრაკა 30'56 (12); 2:2 ჰრდინა 40'17 (11); 3:2 ბრაუნი 47'16 (7); 4:2 ლანგი 48'36 (18); 5:2 მოროზოვი 56'55 (7)

**ფინიქსი — ლოს ანჯელესი 2:5**

2:2 0:1 0:2

1:0 კარნი 1'17 (3); 2:0 ტოკეტი 8'06 (11); 2:1 პალფი 12'44 (20); 2:2 შტუმპელი 18'00 (7); 2:3 რ. ბლეიკი 39'35 (14); 2:4 კორკამი 53'47 (3); 2:5 პალფი 54'56 (21)

**ანაჰაიმი — დალასი 3:5**

1:2 1:1 1:2

0:1 ლანგენბრუნერი 6'46 (8); 1:1 ოლაუსონი 11'55 (8); 1:2 მოროუ 15'58 (8); 1:3 მენსონი 27'50 (1); 2:3 კალენი 39'22 (10); 2:4 ზუბოვი 42'53 (9); 3:4 კარია 51'53 (32); 3:5 ლანგენბრუნერი 55'39 (9)

**ვანკუვერი — კალგარი 4:3**

0:0 2:2 1:1 1:0

1:0 მესიე 29'57 (10); 2:0 მესიე 31'02 (11); 2:1 ჰაუსლი 32'03 (9); 2:2 დოლასი 35'28 (2); 3:2 მოგილნი 43'23 (15); 3:3 დოლასი 51'49 (3); 4:3 ოლუნდი 61'22 (2)

REUTERS ვანკუვერიდან



კალგარის მეკარემ ფრედ ბრეტუეიტმა ვანკუვერელ ალექსანდრ მოგილნის არ გაატანინა

ნიუ ჯერსისა და რეინჯერსის შეხვედრის მეცამეტე წუთი მიმდინარეობდა, როცა რამდენიმე წამით ადრე გაშვებული გოლით გაბრაზებულმა მასპინძლებმა მეტოქის ზონაში ჩხუბი ატეხეს. საქმეში მსაჯი ჩაერია და ხუთი ჰოკეისტი გააძევა. კლოდ ლემიე და ლაილ ოდელეინი — მატჩის ბოლომდე. გასახდელისკენ მიმავალ ლემიეს რეინჯერსის სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა მწვრთნელმა ჯონ მაკლერმა ირონიულად გასძახა, ქალიშვილივით ჩხუბობო. ვარსკვლავის პასუხი, შენთან კინკლაობას ისევ ქალიშვილებთან ბლარძუნი მირჩევნიაო, მაკლერს არ გაუგია, თუმცა მთავარი ეს არ იყო — მისმა დაცინვამ, როგორც ჩანს, ნიუჯერსელთა თავმოყვარეობაზე ისე იმოქმედა, რომ უმცირესობაში დარჩენილებმა რიცხვმრავლობაში მყოფ მეტოქეს შავი დღე აყარეს. უამრავი საგოლე მომენტიდან „ეშმაკებმა“ მხოლოდ 4 გამოიყენეს, ბოლოს კი პატრიკ ელიაშმა (1+2) ცარიელ კარში გაიტანა და თავისიანებს მოგება გაუნაღდა.

ისე, „რეინჯერთა“ გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ მათ წამყვანი მოთამაშეები აკლდათ. თუ ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ, კვლავ მომჯობინდა გუნდის წამყვანი მცველი ბრაიან ლიჩი, სამაგიეროდ, არ იყო ტეო ფლერი. არ უთამაშიათ მეკარე მაიკ რიხტერს და ადამ გრეივსსაც. პირველი „ოლ სტარის“ მატჩში დაშავდა, ხოლო მეორეს ჰოკეისთვის ნამდვილად არ სცხელოდა — ახალშეძენილი, ნაადრევად დაბადებული ტყუპები სამშობიაროში გარდაეცვალა.

ოთხშაბათს ივანე ჰლინკა პიტსბურგში ჩაფრინდა. იგი უკვე შევიდა ისტორიაში, როგორც პირველი ევროპელი, რომელიც ნჰლ-ის კლუბს უთავკაცებს. ცნობილი სპეციალისტი, რომელიც ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებს მისთვის ტრიუმფალურ ნაგანოს ოლიმპიადასა და ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მეთაურობდა, ჯერ არ შესდგომია თავისი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ კლუბის მორიგ მატჩს კი დაესწრო. ცხადია, „პინგვინებს“ სურდათ, მისთვის თავი მოეწონებინათ და მოეგოთ, ასეც მოხდა. ყველაზე მეტად ჰლინკას თანამემამულეებმა მოიწადინეს. მათგან საუკეთესო რობერტ ლანგი (1+2) იყო, რომელმაც ზედიზედ მეოთხე მატჩში გაიტანა, ხოლო იაგრმა ორი პასი მიითვალა, თუმცა ატლანტელთა წინააღმდეგობა მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო მესამედში გატეხეს.

ფლორიდაში ჩასვლამდე, სან ხოსემ თავის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით — 8:0 — გაიმარჯვა ტამპაში, მაგრამ მათმა ამჟამინდელმა მეტოქეებმა უმალვე დააბრუნეს „ზვიგენები“ მიწაზე და დაუმტკიცეს, რომ ამჯერად უფრო მაღალი კლასის მეტოქეს ეთამაშებოდნენ. ამჯერად ფლორიდა პაველ ბურეს დახმარების გარეშე გავიდა იოლას. სამაგიეროდ, ყოფილმა სანხოსელებმა ივარგეს. ცამეტმატჩიანი უგოლობის შემდეგ ვეტერანმა რეი შეპარდმა დუბლი შეასრულა. ვიქტორ კოზლოვმა, რომელიც სწორედ სან ხოსედან წამოსვლის შემდეგ ათამაშდა, 2 პასი მიითვალა.

ერთბაშად სამი ახალი ჰოკეისტის გამოჩენა დალასს აშკარად დაეტყო. ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა ჯემი ლანგენბრუნერმა 2 გოლი გაიტანა, ხოლო ახალწვეულებს — დეივ მენსონსა და სილვენ კოტს იღბლიანი დებიუტი ჰქონდათ. ანაჰაიმს, პოლ კარიას (1+1) კარიერაში მე-200 გოლმაც ვერ უშველა.

ფილადელფიის ორი „ტყუპი კოშკის“ მრისხანება ტორონტოელებს დაატყდათ თავს. „ოლ სტარზე“ უიღბლობის შემდეგ ერიკ ლინდროსმა (2 გოლი) გაორმაგებული ჟინით ითამაშა, ხოლო კეიტ პრიმომ ორი პასი მიითვალა. აქედან ერთი სიმონ განმა გამოიყენა და უმცირესობაში შეაგდო.

ვანკუვერელი მარკ მესიეს გონს მოსვლის საბაბი კი, „ოლ სტარში“ უნიათო თამაშის გარდა, მის გადასვლასთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა გახდა. სახელოვანმა ვეტერანმა ორი გოლი გაიტანა, ხოლო ოვერტაიმში სწორედ მისი პასის შემდეგ გამოჰგლიჯა ვანკუვერმა ხელიდან კალგარს გამარჯვება, რაც ამგვარ მეტოქესთან შეხვედრაში იოლი სულაც არ არის (აქამდე 10 მოგება და მხოლოდ 2 წაგება დამატებით დროში).

ლოს ანჯელესის ფინიქსში გამარჯვების სულისჩამდგმელი ზიგმუნდ პალფი (2+2) გახდა, ხოლო მისი პარტნიორი ლუკ რობიტაილი 2 პასის ხარჯზე ნჰლ-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში 1122 ქულით 36-ეა.

სამველ ლარიბიანი

**სატურნირო ვითარება**

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 55 | 34 | 6 | 4 | 15 | 174:129 | 78 |
| ფლორიდა | 53 | 31 | 4 | 3 | 18 | 166:128 | 69 |
| ტორონტო | 55 | 30 | 6 | 3 | 19 | 166:145 | 69 |
| ფილადელფია | 52 | 27 | 10 | 1 | 15 | 154:120 | 65 |
| ოტავა | 53 | 25 | 9 | 2 | 19 | 141:133 | 61 |
| ვაშინგტონი | 52 | 25 | 9 | 1 | 18 | 143:130 | 60 |
| პიტსბურგი | 53 | 24 | 4 | 5 | 25 | 168:157 | 57 |
| ბოსტონი | 55 | 18 | 15 | 4 | 22 | 143:154 | 55 |
| ბუფალო | 54 | 22 | 7 | 1 | 25 | 135:139 | 52 |
| კაროლინა | 55 | 22 | 8 | 0 | 25 | 138:152 | 52 |
| მონრეალი | 52 | 18 | 7 | 3 | 27 | 117:130 | 46 |
| ტამპა | 52 | 12 | 6 | 5 | 34 | 134:197 | 35 |
| აილენდერსი | 53 | 13 | 6 | 1 | 34 | 116:176 | 33 |
| ატლანტა | 53 | 11 | 6 | 4 | 36 | 117:194 | 32 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 54 | 34 | 6 | 0 | 14 | 167:112 | 74 |
| დალასი | 54 | 30 | 5 | 2 | 19 | 131:117 | 67 |
| კოლორადო | 55 | 26 | 8 | 1 | 21 | 150:141 | 61 |
| დეტროიტი | 54 | 31 | 6 | 1 | 17 | 183:145 | 69 |
| ფინიქსი | 54 | 29 | 6 | 1 | 19 | 161:142 | 65 |
| სან ხოსე | 58 | 23 | 7 | 7 | 28 | 157:150 | 60 |
| ლოსანჯელესი | 53 | 24 | 7 | 3 | 22 | 168:155 | 58 |
| ედმონტონი | 54 | 19 | 13 | 7 | 22 | 150:143 | 58 |
| კალგარი | 54 | 23 | 6 | 3 | 25 | 132:159 | 55 |
| ანაჰაიმი | 56 | 23 | 8 | 1 | 25 | 144:148 | 55 |
| ნეშვილი | 54 | 20 | 6 | 4 | 28 | 145:167 | 50 |
| ვანკუვერი | 53 | 16 | 10 | 6 | 27 | 137:160 | 48 |
| ჩიკაგო | 53 | 18 | 7 | 2 | 28 | 151:168 | 45 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

# სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-20 ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 039 არმინია-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 040 ვერდერი-ჰერტა | 1,9 | 2,8 | 3,8 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 041 ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 042 დორტმუნდი-ულმი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 043 დორტმუნდი-ულმი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 044 დუისბურგი-აინტრახტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 045 ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 046 უნტერჰახინგი-ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 047 მიუნხენ 1860-ფრაიბურგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 048 ჰამბურგი-შალკე | 1,7 | 3,2 | 4,2 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-18 ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 049 მიონხენგლადბახი-ქემნიცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 050 ვალდჰოფი-ნიურნბერგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 051 კიკერსი-ალემანია | 2,2 | 2,9 | 3,0 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 052 ოფენბახი-მაინცი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 053 ფიურტი-ზანქტ პაული | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 054 ობერჰაუზენი-კიოლნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 055 ბერლინი-ჰანოვერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 056 ფორტუნა-კოტბუსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 057 ბოხუმი-კარლსრუე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 25-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 058 ჩელსი-უიმბლდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 059 ქოვენთრი-სანდერლენდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 060 ევერტონი-დერბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 061 ლიდსი-ტოტენჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 062 ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 063 უენსდი-საუთჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 064 უოტფორდი-ლესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 065 ვესტ ჰემი-ბრედფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 066 არსენალი-ლივერპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 067 მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 31-ე ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 068 ტრანმერი-ბარნსლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 069 ბირმინგემი-ბოლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 070 ბლექბერნი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 071 ბლექბერნი-სუინდონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 072 ჩარლტონი-ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 073 კრისტალ პალასი-შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 074 გრიმსბი-პორტ ვეილი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 075 იფსვიჩი-ჰადერფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 076 მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 077 მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 078 პორტსმუთი-ფულემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 079 ქუინზ პარკი-სტოკპორტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 080 უოლსოლი-ნოტინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 081 ვესტ ბრომვიჩი-ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 31-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 082 ბლეკპული-ბრისტოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 083 ბორნმუთი-ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 084 როვერსი-სკანთორპი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 085 როვერსი-სკანთორპი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 086 ბერი-ლუტონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 087 კარდიფი-ბრენტფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 088 ჩესტერფილდი-პრესტონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 089 ნოტსი-რექსემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 090 ოლდემი-ჯილინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 091 რედინგი-მილუოლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 092 სტოკი-კემბრიჯი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 093 სტოკი-კემბრიჯი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 094 უიგანი-კოლჩესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 095 უიგანი-კოლჩესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 096 უიკომბი-ოქსფორდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 31-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 097 ბრაიტონი-პლიმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 098 კარლაისლი-ნორთჰემპტონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 099 ჩესტერი-ჰალი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 100 ექსეტერი-დარლინგტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 101 ჰალიფაქსი-როჩდეილი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 102 ლინკოლნი-ტორკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 103 მაკლსფილდი-ბარნეტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 104 პიტერბრო-მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 105 შრიუსბერი-ლეიტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 106 საუთენდი-ჰარტლპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 107 იორკი-როტერჰემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 108 ჩელტენემი-სუონსი ($16^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია "ა". მე-21 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 109 ბარი-ვერონა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 110 ბოლონია-მილანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 111 ფიორენტინა-უდინეზე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 112 ინტერი-ტორინო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 113 ინტერი-ტორინო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 114 იუვენტუსი-ლეჩე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 115 იუვენტუსი-ლეჩე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 116 პერუჯა-რომა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 117 პიაჩენცა-რეჯინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 118 ვენეცია-კალიარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 119 ლაციო-პარმა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალია. სერია "ბ". 22-ე ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 120 სალერნიტანა-ბრეშა | 2,3 | 2,5 | 3,2 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 121 ჩეზენა-ტრევიზო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 122 კიევო-ალძანო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 123 ფერმანა-ნაპოლი | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| 124 მონცა-კოზენცა | 2,0 | 2,4 | 4,2 |
| 125 პესკარა-ჯენოა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 126 სამპდორია-ემპოლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 127 სავოია-პისტოიეზე | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 128 ვიჩენცა-ტერნანა | 1,5 | 3,1 | 7,0 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 129 ატალანტა-რავენა | 1,6 | 2,7 | 7,0 |

### იტალია. სერია "ც1/ა". მე-23 ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 130 ბრეშელო-ლუკეზე ($17^{30}$) | 3,3 | 2,4 | 2,3 |
| 131 კარარეზე-სპალ ($17^{30}$) | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 132 ჩიტადელა-პიზა ($17^{30}$) | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 133 კომო-კრემონეზე ($17^{30}$) | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 134 ლივორნო-ლეკო ($17^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 135 ლუმეცანე-სიენა ($17^{30}$) | 3,5 | 2,4 | 2,2 |
| 136 მოდენა-ალბინოლეფე ($17^{30}$) | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 137 მონტევარკი-რეჯანა ($17^{30}$) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 138 ვარეზე-სანდონა ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". მე-23 ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 139 ლოდიჯანი-მარსალა ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 140 ასკოლი-დი სანგრო ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 141 კატანია-არეცო ($17^{30}$) | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 142 კროტონე-აველინო ($17^{30}$) | 1,4 | 3,2 | 9,0 |
| 143 კროტონე-აველინო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 144 ჯულიანოვა-ბენევენტო ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 145 სტაბია-გუალდო ($17^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 146 ნოჩერინა-ფ.ანდრია ($17^{30}$) | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| 147 პალერმო-ატლეტიკო ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 148 ანკონა-ვიტერბეზე ($17^{30}$) | 1,9 | 2,5 | 4,4 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 24-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 149 ვალიადოლიდი-ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 150 რეალი-მალაგა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 151 რეალი-მალაგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 152 ბილბაო-მალიორკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 153 სელტა-სოსიედადი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 154 სარაგოსა-რაიო ვალეკანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 155 რასინგი-ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 156 ესპანიოლი-სევილია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 157 ალავესი-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 158 ბეტისი-ბარსელონა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 159 ნუმანსია-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 160 ლევანტე-ბადახოსი | 2,1 | 2,7 | 3,4 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 161 ატლეტიკო "ბ"-კორდობა ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 162 ლეგანესი-კომპოსტელა ($15^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 163 ოსასუნა-ესტრემადურა ($15^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 164 ელჩე-ეიბარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 165 ვილიარეალი-ხეტეფე | 1,5 | 3,2 | 6,5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 166 სპორტინგი-სალამანკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 167 უელვა-ლეიდა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 168 ტოლედო-ლოგრონიესი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 169 მერიდა-ლას პალმასი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 170 ტენერიფე-ალბასეტე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

პორტუგალია. 21-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 171 ბოავიშტა-ლეირია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 172 ბოავიშტა-ლეირია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,4 |
| 173 სანტა კლარა-სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 174 ფარენსე-მარიტიმუ | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 175 ალვერკა-ბელენენსეში | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 176 ვილ ვისენტე-გიმარაეში | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 177 ბრაგა-კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 178 ამადორა-სპორტინგი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 179 რიუ ავე-პორტუ | 5,0 | 3,2 | 1,6 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 180 სეტუბალი-ბენფიკა | 5,0 | 3,2 | 1,6 |

ჰოლანდია

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 181 კამბური-სიტარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 182 ნაიმეგენი-ალკმაარი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 183 აიაქსი-ტილბურგი (17$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 184 დენ ბოსხი-ტვენტე (17$^{30}$) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 185 გრააფსხაპი-უტრეხტი (17$^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 186 ვიტესი-ფეიენოორდი (17$^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 187 ჰერენვენი-პსვ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ბელგია. მე-23 ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 188 მუსკრონი-გენკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 189 ბევერენი-გენტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 190 გეელი-ბეერსხოტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 191 ლოკერენი-აალსტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 192 სენტ ტრუიდენი-ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 193 ლომელი-მეხელენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 194 ლიერსი-ვესტერლო | 1,6 | 3,2 | 5,0 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 195 შარლერუა-სტანდარდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 196 ბრიუგე-ჰარელბეკე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 197 ბრიუგე-ჰარელბეკე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

საბერძნეთი. მე-19 ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 198 კალამატა-პაოკ (17$^{00}$) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 199 ქსანთი-ოფი (17$^{00}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 200 პანათინაიკოსი-აეკ (17$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 201 პანაჰაიკი-არისი (17$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 202 ეთნიკოსი-ტრიკალა (17$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 203 პროდეფტიკი-იონიკოსი (17$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 204 ირაკლისი-კავალა (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 205 ირაკლისი-კავალა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 206 პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი (17$^{00}$) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 207 პანილიაკოსი-აპოლონი (17$^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 208 პანილიაკოსი-აპოლონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

თურქეთი. მე-20 ტური

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 209 დენიზლი-ბეშიქთაში | 3,2 | 2,9 | 2,1 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 210 ვანი-გენჩლერბირლიგი (14$^{00}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 211 ადანა-სამსუნი (15$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 212 ქოჯაელი-ერზურუმი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 213 გაზიანთეფი-ბურსა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 214 ალთაი-ფენერბაჰჩე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 215 ტრაბზონი-ანთალია | 1,8 | 3,0 | 4,0 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 216 ისთანბული-გიოზთეფე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 217 ანკარაგიუჯუ-გალათასარაი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

შოტლანდია. 23-ე ტური

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 218 დანდი-სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 219 კილმარნოკი-მოზერუელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 220 სენტ ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

საფრანგეთი. თასის 1/16 ფინალი

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 221 სენტ ეტიენი-ლორიანი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 222 ნიორი-კანი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 223 ამიენი-ლავალი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 224 ლიონი-ტრუა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 225 მარსელი-გენიონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 226 ნიმი-ტულუზი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 227 აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 3,5 | 3,0 | 1,9 |

აფრიკის თასი. მატჩი III ადგ. და ფინალი

12 თებერვალი

*503

13 თებერვალი

*504

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

ჰოკეი

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 856 ოტავა-ფლორიდა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 857 რეინჯერსი-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 858 პიტსბურგი-ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 859 ატლანტა-სან ხოსე | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 860 ლოს ანჯელესი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

12 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 861 ფილადელფია-ბუფალო | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 862 ბოსტონი-ფლორიდა | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 863 ტორონტო-ვანკუვერი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 864 მონრეალი-ოტავა | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 865 აილენდერსი-პიტსბურგი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 866 ატლანტა-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 867 ტამპა ბეი-კაროლინა | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 868 სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 869 ნეშვილი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 870 ფინიქსი-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,0 |

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 871 ნიუ ჯერსი-სან ხოსე | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 872 ბუფალო-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 873 რეინჯერსი-აილენდერსი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 874 დალასი-ვაშინგტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 875 კოლორადო-დეტროიტი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 876 ტორონტო-კაროლინა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 877 მონრეალი-ფლორიდა | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 878 პიტსბურგი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 879 ჩიკაგო-ანაჰაიმი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 880 ფინიქსი-დეტროიტი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 881 ლოს ანჯელესი-კალგარი | 1,6 | 4,0 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ლუისის ბენეფისად ქცეული როდმანის დაბრუნება

9 თებერვალი

**დალასი 106:117 სიეტლი**

დალასი: სტრიკლენდი (21), ფინლი (26), სებალოსი (26), ნოვიცკი (14), როდმანი (13 მოხსნა); ბრედლი (12), დევისი (4), ნეში (3), ბაკნერი, ჯონსი

სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა), ბერი (17 ქულა, 8 პასი, 8 მოხსნა), პატერსონი (7), ბეიკერი (12), გრანტი (16); ლუისი (30 ქულა, 12 მოხსნა), სტეფანია (6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), მაკკოი (4), დევისი, ვილიამსი.

იმ დღეს დალასის დარბაზ „რეუნიონ არენაში" უჩვეულოდ ბევრი, 18 203 მაყურებელი მოგროვილიყო. ასეთი ხალხმრავლობა ბოლო ორი წლის წინ აღინიშნა, როცა ლეგენდარულმა მაიკლ ჯორდანმა ამ დარბაზში ბოლოს ითამაშა.

იმდღევანდელი ანშლაგის მიზეზი კი კალათბურთის „ცუდი ბიჭი" დენის როდმანი გახლდათ. მოგეხსენებათ, როდმანმა „დალას მავერიქსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „სიეტლ სუპერსონიქსთან" მატჩში კი მისი დებიუტი შედგა მიმდინარე სეზონში. სხვათა შორის, ორი წლის წინ ეს დარბაზი რომ გადაიჭედა, მაშინ დალასელები „ჩიკაგოს" ხვდებოდნენ და იმ შეხვედრაში როდმანი მათ ებრძოდა. კარგად ახსოვს, რა შეხვედრა მოუწყვეს ემოციურმა ტეხასელებმა მაიკლ ჯორდანს და მის გუნდს. პუბლიკა ექსჩიკაგოელს ახლაც ოვაციებით შეეგება. გაოცებული ვარ. ერთი წუთით თავი მაიკლ ჯორდანად წარმოვიდგინე და აქედანაც კარგად ჩანს, რა ჯიგრიანი ხალხი ცხოვრობს ტეხასშიო — უთქვამს გადარეულ დენისს.

სეზონი რომ დაიწყო, როდმანს კარგა ხანს არ გახსენებია თამაში, თავს რითი არ იქცევდა და ლობე-ყორეს ედებოდა, როგორც სჩვევია. „დალასში" იგი სულ ერთი კვირაა, რაც ჩაირიცხა. ერთი ორჯერ წაივარჯიშა და მოედანზეც შეუშვეს. მწვრთნელმა დონ ნელსონმა როდმანის გულისთვის თვით 229-სანტიმეტრიანი გიგანტი, შონ ბრედლი ამოაგდო სასტარტო ხუთეულიდან. მანაც ივარგა, ჩვეულად გარბოდა ფარქვეშ და 13-ჯერ დაიჭირა ფარიდან ასხლეტილი ბურთი. ის კი არა, ერთხელ კიდეც ესროლა, მაგრამ ხელი მოეცარა და მერე აღარც გამოუდია თავი. ამასთან მან ჩვეულად წაილაზღანდარავა, მსაჯებსაც ეკამათა. ერთი სიტყვით, როგორც სურდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. მაგრამ შეშლილი დენისი სხვამ დაჩრდილა. ის დღე „სიეტლის" სათადარიგოს, რაშარდ ლუისის დღე იყო.

ეს ბიჭი ჩვენებურ ვოვა სტეფანიასთან ერთად მოვიდა „სიეტლში", თავი ბევრით არაფრით უსახელებია. ერთი ეგაა, სტეფანიაზე ხშირად უწევდა თამაში. ლუისმა თავისი კარიერის საუკეთესო მატჩი ითამაშა, დაამყარა პირადი რეკორდი ქულებში, მოხსნებში (ლამის მოხსნების ოსტატ როდმანსაც აჯობა). ამასთან მან ბოლო მეოთხედში 16 ქულა ჩაუგდო „დალასს", აქედან 11 ბოლო ექვს წუთში მაშინ, როცა მისი გუნდი რამდენიმე ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს. ლუისმა თავი შეაკლა „დალასს" და ლამის ომიც გამოუცხადა. ეს ყველა საგმირო საქმე მას იმიტომ ჩაუდენია, რომ თურმე ამ მატჩს დედამისი ესწრებოდა. რაშარდმაც დედიკოს აჩვენა, ხედავ, რა არწივი გყევარო. იმ შეხვედრის ბურთიც ლუისს დაუტოვეს სახსოვრად, მან კი დედამისს მიართვა ძღვენად.

ლუისმა ძირითადად ბოლოს ივაჟკაცა, მანამდე კი არც სხვებს შეურცხვენიათ თავი. თავისი „გენერლის" გერი პეიტონის მეთაურობით „სიეტლმა" პირველი მეოთხედი 11 ქულის სხვაობით მოიგო. როდმანის დამატების მიუხედავად, „დალასი" არ ჰგავდა ღირსეულ მეტოქეს და ვესტფოლმა მოედანზე შემცვლელები შეუშვა. მათგან ლუისი, როგორც ვთქვით, სასწაულებს ახდენდა, სხვებს კი ვოვა სტეფანიამ აჯობა, რომელმაც, წინა მატჩისგან განსხვავებით, ეს შეხვედრა გაცილებით დამაჯერებლად ჩაატარა და თვით როდმანს ეთამაშა ფარქვეშ. თერთმეტ წუთში მან ოთხი ბურთი მოხსნა, აქედან ორი მეტოქის ფარზე. შეტევაში სტეფანიას „დალასის" გერმანელი თავდამსხმელი დირკ ნოვიცკი იჭერდა და არაფერი გამოუვიდა. ვოვამ ხუთიი სროლიდან სამი ჩაუგდო და ორი ჯარიმაც მიალებინა გერმანელს. ჩვენებურმა დაცვაშიც ივარგა. მოხსნასთან ერთად ერთხელ მეტოქეს ბურთი აართვა და ერთხელაც დაუფარა. შეცდომებიც დაუშვა. ორჯერ დაჯარიმდა და ორჯერაც ბურთი დაკარგა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მოედანზე მისი ხშირი გამოჩენა იმედს იძლევა, რომ ქართველი საბოლოოდ მოსწყდა სათადარიგოთა სკამს.

**ბოსტონი 104:113 ინდიანა**

ბოსტონი: პირსი (27), პოტაპენკო (21 ქულა, 10 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (23)

**ლეიკერსი 114:81 მინესოტა**

ლეიკერსი: ონილი (37 ქულა, 16 მოხსნა), ბრაიანტი (24)

მინესოტა: გარნეტი (29)

**პორტლენდი 107:100 კლიპერსი**

პორტლენდი: საბონისი (23)

კლიპერსი: ტეილორი (23), ჰადსონი (22)

**იუტა 113:86 ჩიკაგო**

იუტა: მელოუნი (30 ქულა, 10 მოხსნა)

ჩიკაგო: ბრენდი (13)

**დენვერი 97:106 სან ანტონიო**

დენვერი: გეტლინგი (19)

სან ანტონიო: რობინსონი (30), დანკანი (24 ქულა, 18 მოხსნა, 8 ჩაჭრა)

**მილუოკი 103:109 ნიუ იორკი**

მილუოკი: ალენი (24), რობინსონი (19)

ნიუ იორკი: სპრიუელი (27), ჰიუსტონი (22), ვორდი (21), იუინგი (20 ქულა, 16 მოხსნა)

**შარლოტი 109:95 კლივლენდი**

შარლოტი: ჯონსი (32), ვესლი (30), კოულმენი (21)

კლივლენდი: მიურეი (31)

**ატლანტა 116:100 ჰიუსტონი**

ატლანტა: ჯექსონი (23)

ჰიუსტონი: მობლი (30)

**ფილადელფია 92:90 ნიუ ჯერსი**

ფილადელფია: აივერსონი (41)

ნიუ ჯერსი: გილი (21)

**ორლანდო 107:96 ვაშინგტონი**

ორლანდო: მეჯიტი (15)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (20)

**მაიამი 115:100 გოლდენ სტეიტი**

მაიამი: მაშბურნი (26), მურნინგი (17 ქულა, 12 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (17), ბლეილოკი (17)

**დეტროიტი 115:108 ტორონტო**

(ძირითადი დრო 100:100)

დეტროიტი: ჰილი (30 ქულა, 13 მოხსნა), ჰანტერი (28)

ტორონტო: კარტერი (34 ქულა, 13 მოხსნა), მაკგრეიდი (20)

უამრავი მატჩი გაიმართა 9 თებერვალს. მათგან ერთ-ერთი წინასწარვე ყველაზე საინტერესოდ ითვლებოდა — შეხვედრა „დეტროიტ პისტონზსა და კანადურ „ტორონტო რეპტორზს" შორის. მატჩმა გაამართლა. მეტოქეებმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს და ამასთან მშვენიერი სანახაობაც დადგეს. მატჩი ლამაზიც გამოდგა და დაძაბულიც. ოთხმა მეოთხედმა ვერ გაარკვია გამარჯვებულის ვინაობა. მხოლოდ დამატებითი ხუთი წუთის შემდეგ იმარჯვა მასპინძელმა „დეტროიტმა". ეს მატჩი დიდ ინტერესს იმიტომაც იწვევდა, რომ ერთმანეთს ლიგის საუკეთესო ფრთები უნდა დაპირისპირებოდნენ — ჭაბუკი ვინს კარტერი და მასზე ოდნავ გამოცდილი გრანტ ჰილი. ორივე უაღრესად სრულყოფილი ტექნიკის პატრონია. ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ ითამაშებენ კვირას „ოლ სტარში", აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულში, მანამდე კი მეურვეებმა ერთმანეთი კარგა მაგრად გააწვალეს და თავიანთი ფრენითა და ჩატენვებით გულშემატკივარიც ნასიამოვნები დატოვეს. თვითონ თამაშიც უკიდურესად დაძაბულად წარიმართა, განსაკუთრებით ბოლო წუთები. ბოლო მეოთხედიც ქულა ქულაში თამაშით გაილია. ტორონტოელმა კარტერმა 98:97 შეამცირა სხვაობა, შემდეგ თანაგუნდელ ვორქმენს ჩააგდებინა და სტუმრები წინ გავიდნენ. ახლა მასპინძელთა ჯერი დადგა. მათი მხრიდან ჰანტერმა ივაჟკაცა, ორი საჯარიმოს ჩაგდების შემდეგ 100:99 დააწინაურა „დეტროიტი". აქ „ტორონტოს" შეეძლო მატჩის ძირითად დროშივე მომთავრება, მაგრამ მისმა ცენტრმა ანტონიო დევისმა (19 ქულა, 10 მოხსნა) ორი საჯარიმოდან ერთი ააცილა. თავის მხრივ შანსი „დეტროიტსაც" ებოძა, მაგრამ აქ საქმეში კარტერი ჩაერია და სირენამდე ხუთიოდ წამით ადრე მასპინძელ კროტის სამქულიან სროლას მარჯვედ დაუფარა.

ტორონტოელთა ლიდერი არც ოვერტაიმში ცხრებოდა, მაგრამ აქ მის გუნდს რისხვად მოევლინა მასპინძელთა გამთამაშებელი ლინდსი ჰანტერი. მან დამატებით დროში ზუსტად იმდენი ქულა გააკეთა, რამდენიც მთლიანად „რეპტორზმა" და მისმა შედეგიანობამ გამარჯვება „დეტროიტს" არგუნა.

ასევე საინტერესო გამოდგა „ნიუ იორკ"-„მილუოკის" შერკინება. „მილუოკის" ორი ოლსტარელი ჰყავს, „ნიუ იორკს" — ერთი, მაგრამ იმ დღეს მასპინძლებს ერთბაშად ოთხმა სტუმარმა ჩაუგდო 20 ქულა და მეტი, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰყავდა წამყვანი მოთამაშეები — ლარი ჯონსონი და მარკუს კემბი. საცოდავმა მასპინძლებმა აღარ იცოდნენ, ვის წინააღმდეგ ეთამაშათ. პირველ ნახევარში ყველა აგდებდა ბურთებს. მძვინვარე ალან ჰიუსტონი მეორე მეოთხედის დასაწყისში რომ ამოკეტეს, ახლა ლატრელ სპრიუელი აფეთქდა და მარტო მეორე ტაიმში 23 ქულა მიითვალა. ბებერმა ხარმა, პატრიკ იუინგმა ხომ მთლად აიკლო მასპინძელთა ფარი და სრულად გაბატონდა. იუინგმა ისარგებლა იმით, რომ „მილუოკის" ხეირიანი ცენტრი არ ჰყავს და მასპინძელთა უვარგის მაღლებს რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა.

ასევე გაილალა კიდევ ერთმა ბებერმა ცენტრმა, ქართველი გულშემატკივართათვის აგრერიგ ნაცნობმა არვიდას საბონისმა, რომელიც ამ ბოლო ხანებში ცოტა არ იყოს, სხვა თანაგუნდელების ჩრდილში მოექცა. „კლიპერსის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ ტოდმა „პორტლენდის" ლიტველ ცენტრს მასზე სამი სანტიმეტრით მაღალი, 224-სანტიმეტრიანი კეიტ კლოსი აადევნა. კლოსი საბონისზე რამდენიმე ათეული კილოგრამით მსუბუქია და ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩააგდებდა გამოცდილი არვიდასი ამ ჩხირივით ბიჭს. კლოსი 12 წუთში გაიყვანეს ისე, რომ არათუ ქულა გაუკეთებია, არც უსვრია. საბონისს ამის შემდეგ უკვე ნიგერიელი მაიკლ ოლოვოკანდი აედევნა, რომელიც ერთ დროს ძალიან პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა და „კლაერსმა" 1998 წლის დრაფტში პირველ ნომრად აიყვანა, მაგრამ მან იმედები გააცრუა და ერთი რიგით მოთამაშეობას ვერ გასცდა. ახლა, კლოსის არ იყოს, ვერც ოლოვოკანდიმ შეურხია საბონისს თავზე ბეწვი, ის კი არა, ამ უკანასკნელმა იქით მიალებინა ექვსი ჯარიმა და მოედნიდან მიაბრძანა, თვითონ კი განაგრძო ბეჩავი „კლიპერსის" კალათის რბევა.

**ირაკლი ფირაშვილი**

REUTERS დალასიდან



დალასი — სიეტლი. რუბენ პატერსონმა დალასელი დენის როდმანი (№70) გადათელა

REUTERS მილუოკიდან



მილუოკი — ნიუ იორკი. მილუოკელი ერვინ ჯონსონი (№40) პატრიკ იუინგის წინააღმდეგ

# დავით მუშკუდიანი წინა პლანზე

## ქართველი ცენტრი ბულგარეთში სამართალს ეძებს



დავით მუშკუდიანი

**გასულ კვირეებზე ბულგარეთის თასის მეოთხედფინალში დავით მუშკუდიანის „აკადემიკი" სტუმრად, პლევენში „სპარტაკს" ეთამაშა. ეს მატჩი და იქ დატრიალებული ამბები, ვფიქრობთ, უეჭველად დააინტერესებს კალათბურთის ქართველ ქომაგს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საყოველთაო ყურადღების ცენტრში სწორედ ჩვენებური მოექცა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ემოციურ მუშკუდიანს ნერვებმა უმტყუნა და არბიტრთან ურთიერთობა საკმაოდ მწვავედ გაარკვია. მისი მიკერძოებული გადაწყვეტილებებით აღშფოთებულმა მსაჯზე გაიწია კიდეც, მაგრამ თანაგუნდელებმა აღარ აცალეს.**

ყოველივე ეს საქვეყნოდ გაავრცელეს ბულგარულმა საინფორმაციო საშუალებებმა. მართალია, მატჩს ჩაშლის საფრთხე არ დამუქრებია, მაგრამ ეს ფაქტი მაინც წინ წამოწიეს იქაურმა ჟურნალისტებმა.

მომხდარზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად თავად მუშკუდიანთან დაკავშირება ვცადეთ. მისი მოხელთება არცთუ ადვილი აღმოჩნდა. დათოს საცხოვრებელში მომუშავე ანჩხლი მეკავშირე ქალი თავის ენაზე გვიწყრებოდა, რაც მის საუბარსა და ინტონაციაში აშკარად იგრძნობოდა. ერთადერთხელ გადმოგვხედა მოწყალე თვალით კაპასმა ბულგარელმა და დაგვაკავშირა კიდეც სასურველ რესპონდენტთან, თუმც მერე მაინც გამოაჩინა თავისი ახირებული ზნე და კავშირიც შეწყდა. ჩვენი შემდგომი მცდელობები, ხელმეორედ დავკავშირებოდით მუშკუდიანს, ამაო იყო, თუმცა ქართველის მცირე მონათხრობმაც მეტ-ნაკლებად ნათელი მოჰფინა ჩვენთვის საინტერესო საკითხს...

— „სპარტაკთან" თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრას ვტარებდით. შინ მათთან სრულიად მოულოდნელად სამი ქულით დავმარცხდით. შემდგომ ეტაპზე გაღწევის შანსი ჯერ კიდევ გვქონდა და სტუმრად თამაშს გაცილებით სერიოზულად მოვეკიდეთ.

დაიწყო მატჩი და თავიდანვე აშკარად დავჩაგრეთ პლევენელები. ყველაფერში ვჯობდით, ფარზეც თითქმის არ მოვახსნევინეთ ბურთი. მაგრამ რად გინდა, მსაჯებმა ისეთები იკადრეს, ყველანი მივხვდით, რაშიც იყო საქმე. საწყის ათ წუთში სამი პერსონალური მომცა ერთი და იმავე მსაჯმა, აქედან მხოლოდ ერთს თუ ვიმსახურებდი, დანარჩენი ორი აბსოლუტურად მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო. რაკი მაინც ვიგებდით, მწვრთნელმა დასვენების საშუალება მომცა და ტაიმის ბოლომდე სათადარიგოებში ვიჯექი. არც მერე მოისვენეს მსაჯებმა, სულ კი პირველ ტაიმში იმდენჯერ დაუსტვინეს, რომ ოცწუთიანი ტაიმი ლამის საათი გაიწელა. თან რატომღაც მარტო ჩვენს უხეშობას ამჩნევდნენ.

იმდენად დიდი უპირატესობა გვქონდა, რომ ყველაფრის მიუხედავად პირველი ნახევარი მაინც ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა — 41:39. ეს საკმარისი არ იყო და მწვრთნელმა შესვენების შემდეგ ისევ ხუთეულში დამაყენა, თან გამაფრთხილა, ბევრი არ იჯაჯგურო, სამი ჯარიმა გაქვსო. ეს თავადაც კარგად ვიცოდი და საგანგებოდ ვერიდებოდი ორთაბრძოლებს. მსაჯმა კი იმდენი მოახერხა, რომ ოთხ წუთში ორი პერსონალურიც მომცა და მოედნიდან დამითხოვა. მივუბრუნდი და ვუთხარი, რას მერჩი, რა დაგიშავე, რატომ მაჯარიმებ-მეთქი. მან კი დამატებით ტექნიკური შენიშვნაც მომცა. დღემდე ვერ მივხვდარვარ, რისთვის მაჯარიმებდა, ის კი ვიცი, ამას რატომაც აკეთებდა.

**— მსაჯი რომ გადაწყვეტილებას აღარ გადათქვამდა, ამაზე არ გიფიქრია, როცა ეპასუხებოდი?**

— მას უბრალოდ განმარტება ვთხოვე, რაში ვიყავი დამნაშავე, სხვა არაფერი მითქვამს. სანაცვლოდ ტექნიკურიც რომ „ამკიდა", თავი ველარ დავიმორჩილე. თანაგუნდელებს რომ არ შევეჩერებინე, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა.

**— მსგავსი შემთხვევები არცთუ იშვიათია სპორტში. ნუთუ მხოლოდ მაგისთვის ატეხეს ჟურნალისტებმა ამხელა ამბავი?**

— აქ ძალიან გაბუქეს, გაზეთებში სხვადასხვანაირად წერდნენ. ხანდახან მეც ეჭვი მეპარებოდა, მართლა ხომ არ ჩავიდინე ეს-მეთქი. საერთოდ, ძალიან აუტანელი ხალხია, როცა ხედავენ, რომ უცხოელი ხარ, ერთი სული აქვთ, რალაცით გაგამწარონ. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, ძალიან ათვალწუნებული ვყავვარ აქაურ მსაჯებს. უბრალოდ, ახლა თავი ველარ შევიკავე.

**— საბოლოოდ არბიტრმა თავისას მიაღწია?**

— ექვსი ქულით წავაგეთ. უფრო სწორად, წაგვაგებინეს, ამას წყალი არ გაუვა.

**— შენს შემდგომ კარიერაზე რა გავლენას იქონიებს ეს ინციდენტი? ალბათ, დაგსჯიან...**

— ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. იმსჯელებენ და ალბათ ერთ-ორ თამაშს გამომატოვებინებენ. ისე, საყვედური არც მწვრთნელებს უთქვამთ ჩემთვის, არც კლუბის ხელმძღვანელობას, პირიქით, მანუგეშეს, ყველაფერი ხდებაო. ახლა არაფერი ეშველება, რაც იყო, იყო. უბრალოდ, ასეთი რამ არ უნდა დამმართვოდა.

**საბა ესებუა**



THE SEATTLE TIMES

ვლადიმერ სტეფანია (№5)

# სტეფანიამ პასუხი გაიგო?

*ქართველმა ცენტრმა ვლადიმერ სტეფანიამ „სიეტლ სუპერსონიქსის" ბოლო სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და, სავარაუდოდ, დასძლია კრიზისი, რომლის განმავლობაში მოედანზე თითქმის არ გამოდიოდა. სიეტლის გაზეთის „სიეტლ ტაიმსის" საკალათბურთო მიმომხილველმა ნუნიო დემასიომ ქვემორე წერილი „ფინიქს"—„სიეტლის" მატჩის შემდეგ დაწერა. ამ მატჩამდე სტეფანიას „სიეტლის" ბოლო ოცი მატჩიდან ორში ეთამაშა. ამის შემდეგ კი ვლადიმერი ჯერ „სან ანტონიოს" დაუპირისპირდა, მერე კი — დენის როდმანიან „დალასს".*

ვლადიმერ სტეფანიას ნიჭზე ბევრი რამ ითქვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „სიეტლ სუპერსონიქსმა" იგი 1998 წლის დრაფტში ამოირჩია. სამწუხაროდ, 213-სანტიმეტრიანი ცენტრი უფრო იშვიათად ჩნდებოდა მოედანზე, ვიდრე „სონიქსის" თილისმა, რომელიც შესვენებაზე ართობს მაყურებელს.

მაგრამ კვირას ფინიქსში 96-კილოგრამიანი სტეფანია ვინ ბეიკერის შემცვლელად შევიდა. მეორე მეოთხედის დამთავრებამდე 10,11 წუთი რჩებოდა.

„გავიცდი, სათამაშოდ მზად არ ვიყავი" — თქვა სტეფანიამ.

სტეფანიამ 15 წუთი ითამაშა და უშიშრად დაიწყო სროლა. ხუთივე ნასროლი ააცილა. მან მატჩი სამი ქულით (სამივე საჯარიმოებით მოიპოვა), ერთი მოხსნით და ერთი პასით დაასრულა. რაც მთავარია, სტეფანიას არც სწორხაზოვნად უთამაშია და არც უაზრო ჯარიმები მიუღია. არადა, მან ამ მიზეზების გამო გამოტოვა მატჩების უმრავლესობა. „სიეტლის" მწვრთნელებს აღიზიანებდათ ვლადიმერის უყურადღებობა შეტევაში და ჯარიმების სიმრავლე დაცვაში. ამის ნაწილობრივი მიზეზი ისიცაა, რომ სტეფანია ინგლისურად სრულყოფილად ვერ ლაპარაკობს.

„ვლადიმერმა კარგად ითამაშა და იმუშავა" — თქვა „სონიქსის" მთავარმა მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა „ფინიქსთან" მატჩის შემდეგ.

არადა, სეზონის დასაწყისში სტეფანია იმედგაცრუებული იყო. ერთხელ მან მავან ჟურნალისტს სთხოვა: ჰკითხე ვესტფოლს, რას ითხოვს ჩემგან, ათა მეტხანს მათამაშოს. პასუხს როცა გაიგებ, დაბრუნდი და მითხარიო.

„ძალიან ძნელია ასე ყოფნა. ბოლოს დიდი ხნის წინ ვითამაშე. მართალია, ფორმის შესანარჩუნებლად ბევრს ვვარჯიშობ, მაგრამ უთამაშებლობა თავისას შვრება" — დაიჩივლა სტეფანიამ.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 1999 წლის საზაფხულო ლიგებში სტეფანიამ იმდენად კარგად ითამაშა, რომ ლიგის რამდენიმე გუნდმა მისი შეძენა მოისურვა. სეზონის დაწყებამდე „სიეტლი" სტეფანიას სასტარტო ხუთეულში დაყენებას აპირებდა, მაგრამ მერე სათადარიგო ცენტრად გაამწესა. ამის მიზეზად კი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კალათბურთთან ძნელად შეგუება შეიძლება ვივარაუდოთ.

**ნუნიო დემასიო**

**„სიეტლ ტაიმსი". 8 თებერვალი**

# ჭაბუკებს დრო და ადგილი შეუცვალეს

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, როგორც თავიდან ითქვა, საფრანგეთი უმასპინძლებს. თუმც მცირე ცვლილებები მოხდა — ქალაქიც გამოიცვალა და დათქმული დროც.

ტურნირი აპრილშივე გაიმართება ოღონდ ბოვეს ნაცვლად სენ კანტენში ითამაშებენ გუნდები, შეჯიბრება თორმეტის ნაცვლად თერთმეტში დაიწყება და ერთი დღით ადრეც დამთავრდება — თხუთმეტში.

ქართველ თვრამეტწლამდელებს მეტისმეტად სერიოზული მეტოქეები ეყოლებათ საფრანგეთში. მასპინძელთა გარდა თურქ, სლოვენიელ, პოლონელ და რუს თანატოლებთან მოუწევთ ჭიდილი სამი საგზურის მოსაპოვებლად, რაც ჩვენებურებს ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მისცემს.

ჭაბუკთა ნაკრების ლიდერები (ფაჩულია, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე), მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ თამაშობენ, ამიტომ გუნდის მთავარ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს საფრანგეთისთვის სრულფასოვანი მომზადების იმედი გადაეწერა. სადღეისოდ მწვრთნელები იმასლა ახერხებენ, რომ კვირაში ორჯერ საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატებს ვერის ბაღში კრებენ და აკვირდებიან. მალე ფიბა-ში კალათბურთელთა საგანგებო სიაც უნდა გაიგზავნოს, მათგან საფრანგეთში წამსვლელ თორმეტ მოთამაშეს კი, როგორც წესი, გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაასახელებს ჩერქეზიშვილი.

რაც შეეხება იმას, რა არის ზემოხსენებული ცვლილებების მიზეზი, ვერაფერს გეტყვით. ამ კითხვაზე კალათბურთის ფედერაციაშიც ვერ გვიპასუხეს. მათი თქმით, ყველაზე რეალური ისაა, რომ ფიბა-ს სპეციალურმა კომისიამ ქალაქ ბოვეში ამ ტურნირის ჩატარება შეუძლებლად მიიჩნია.

**გიორგი ბიჭაშვილი**



REUTERS

ბიძის, დუეინ ფილზის მხრებზე მოკალათებულმა ბობი რეი ფილზ-უმცროსმა მამამისის №13 მაისურა „შარლოტ კოლიზეუმის" ჭერში ააფრიალა

# ფილზის უკვდავსაყოფად

„შარლოტ ჰორნეთსმა" სიტყვა საქმედ აქცია და ბობი ფილზის ნომერი 13 მაისურა „შარლოტ კოლიზეუმის" ჭერზე გამოფინა. ეს ნიშნავს, რომ ფილზს მუდმივი ნომერი მიეკუთვნა, ხოლო 13-ნომრიანი მაისურათი „შარლოტში" ამიერიდან ველარავინ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ბობი ფილზი „შარლოტ ჰორნეთსის" კალათბურთელი იყო და 12 იანვარს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ფილზის მაისურის გამოფენის ცერემონიალი ოთხშაბათს შედგა. შარლოტში „კლივლენდ კავალიერზი" სტუმრობდა, გუნდი, რომელშიც დაიწყო ფილზის პროფესიული კარიერა და რომელშიაც კალათბურთელმა ექვსი სეზონი გაატარა. „შარლოტი"-„კლივლენდის" შესვენებისას, ბობი ფილზის ძმამ დუეინმა მხრებზე შემოისვა კალათბურთელის ვაჟი, 3 წლის ბობი რეი ფილზი-უმცროსი. ბავშვმა მოქაჩა თოკი, რომელმაც ჭერისკენ წაიღო მამამისის კუთვნილი ნომერი13 მაისურა. აღსანიშნავია, რომ „ჰორნეთსმა", თავის თერთმეტწლიან ისტორიაში, პირველად მიაკუთვნა ამა თუ იმ მოთამაშეს მუდმივი ნომერი.

## კორაჩის თასი

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 9 თებერვალი**

**ნობილესი (პოლონეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 74:69**

ნობილესი: ანდრჟეიევსკი, გრიშჩუკი (13), იანკოვსკი (20), კონდრაციუკი (3), მიგლინიეკსი (8), პრავიცა (5), სნეპსი (13), ტომაშევსკი (12)

ესტუდიანტესი: აიშა (3), არანსი, აზოფრა (6), ხიმენესი (15), მარტინესი (4), რეიესი (13), თომპსონი (9), ვანდივერი (19)

**უნიკახა (ესპანეთი) — მარუსი (საბერძნეთი) 77:58**

უნიკახა: ფერნანდესი (10), ჟომინი (14), კორალი, მარკაჩინი (10), მრშიჩი (25), კონსეისაო (2), ორენგა (4), პეტრუშკა, რომერო, სალიერი (12)

მარუსი: ამაია (20), ანანისტუ, ფალეკასი (2), კარაპლისი, მანოლოპულოსი, პანაიოტარაკოსი (6), პანტელიადისი (8), პაპახრონისი (3), ტერნერი (16), ჟურბენკო (3)

**ხირონა (ესპანეთი) — აეროპორტი (იტალია) 61:67**

ხირონა: ჯონსონი (9), კუისმა (5), ლასო (8), მიდლტონი (16), მორაგა (8), სანჩესი, სტიუარტი (15)

აეროპორტი: ამბრასა (6), კესელი (2), ფერონი, იუზოლინო (14), კიდი (10), როსინი (2), ტონოლი (14), ვილიამსი (19)

**ლიმოჟი (საფრანგეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 71:57**

ლიმოჟი: ბონატო (26), ბრაუნი (8), დიუმა (2), ფრიგუ (2), ჰემი (6), მეტელიე (3), რუპერტი, სტაჟიჩი, ვეისი (16), ვილიამსი (8)

ტელეკომი: ბიბო (4), ევლიაოღლუ (14), გირგინი (5), იაგოდნიკი (11), იურკოვიჩი (9), კაჩარი (6), კრალევიჩი (6), მემისოღლუ (2)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 16 თებერვალს*

## ევროლიგა

**II ჯგუფური ეტაპი. V ტური. 10 თებერვალი**

**E ჯგუფი**

ალბა 81:76 ცსკა

თოფაში 78:71 ბარსელონა

ჟალგირისი 82:75 ბენეტონი

**F ჯგუფი**

შოლე 81:68 პანათინაიკოსი

ცრვენა ზვეზდა 71:96 რეალი

**G ჯგუფი**

კახა სან ფერნანდო 72:62 ვილერბანი

პო ორტეზი 57:62 მაკაბი

## ჰოლანდია

პსვ 4:0 აიაქსი

როდა 3:2 უტრეხტი

## საფრანგეთი

ლიგის თასის მეოთხედფინალი

ნანსი 2:1 დ.დ. (1:1) სოშო

## იტალია

თასის ნახევარფინალი

I მატჩი

ლაციო 5:0 ვენეცია

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

ოსასუნა 0:4 ბარსელონა

## აფრიკის თასი. ნახევარფინალი

კამერუნი 3:0 ტუნისი
1:0 პ. მბომა (49), 2:0 ს. ეტო (83), 3:0 პ. მბომა (88)

სამხრეთ აფრიკა 0:2 ნიგერია
0:1, 0:2 ბაბანგიდა (1, 35)


REUTERS ლაგოსიდან

# აღარ მოხდებაო

რა არ მოხდება? ის, რაც ლაგოსის „სურულერის“ სტადიონზე ნიგერიელთა მატჩებისას მუდამ ხდება — დალეწილი სკამები, მინდორზე წამოსული უცხო საგნების წვიმა, ცრემლსადენი გაზით დაბრმავება. იქაურმა პოლიციელებმა ჭკუა იხმარეს და აფრიკის თასის ნახევარფინალში, ნიგერია — სამხრეთ აფრიკის თამაშის სანახავად მისულ ხალხს ძაღლებით აშინებენ, ემანდ არაფერი შეგვეშალოთო.


REUTERS მადონა დი კამპილიოდან

# სნოუბორდი დი კამპოლიოში

*იტალიურ სამთო ალაგ მადონა დი კამპილიოში, სადაც ამასწინათ ლაღობდა „ფერარის“ მრბოლთა გუნდი, თოვლის ყველაზე მეტად თავზეხელაღებული ბიჭები შეკრებილან. გიჟმაჟი სნოუბორდისტები აქ მსოფლიოს თასის ეტაპზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს. პირველი ჩამოქროლვა ავსტრალიელ ზეკ სტივოლს მოუგია, მეორე ადგილზე იტალიელი სიმონე რალისავასი გასულა, მესამეზე ამერიკელი ენტონ პოგიუ.*

# ჩხუბიანი დღე

საოლსტარო უქმეებმა ჩაიარა და ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ჩხუბი გახურდა. მოთამაშენი დამშეულებივით ეკვეთნენ ერთმანეთს. ტორონტოელი ბრაიან ბერარდი (ქვედა ფოტოზე შუაში) თავზეხელაღებულმა ფილადელფიელებმა, ერიკ ლინდროსმა (მარცხნივ) და დან მაკგილისმა ბორტზე მიაჭყლიტეს. მათი გუნდების შეხვედრის მეორე პერიოდში იმხელა ჩხუბი ატყდა, რომ მსაჯები სასტვენებს ონტარიოს ტბაში აცივებდნენ.

ოტავაში კი, იქაური „სენატორზის“ გულშემატკივრები კლუბის მთავარი ოფისის წინ მიტინგობდნენ. შეეტყოთ, რომ სენატორთა პატრონი როდ ბრაიდენი გუნდის სხვა ქალაქში გადაყვანას აპირებსო. სიყვარული სიყვარულად და გაუქმებულ წლიურ აბონემენტებს რა ვუყოთო.



REUTERS ოტავადან


REUTERS რომიდან

# დროთა კავშირი

*დროთა კავშირის თავისებურებებზე თუ ფიქრობდნენ ამ სარეკლამო კლიპის ავტორები. რომში, ფორო იმპერიალზე გამოუგორებიათ ალისფერი „ფერარი“ და უკანაც ხომ კოლიზეუმი დგას! რეკლამის არსისა კი რა გითხრათ?*



REUTERS ტორონტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli